ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



მარტვილის მონასტრის წინამძღვარი „ნინოს" ჩამორთმევაზე: „გაგიგიათ, ხუთი წლით რაიმე გაჩუქონ და მერე უკან წაიღონ?"

გვ.5

6 მარტიდან

ვიქტორ ჰიუგო

საბრალონი

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



ხუთშაბათი, 9 მარტი, 2017 №57 (7292) ფასი: 50 თეთრი

# ვინ მიჰყიდა მამა გიორგი მამალაძეს ციანიდი ნისიად

გვ.2



## ჯარჯი წიქლაური: „კიდევ ბევრ მტკიცებულებას გამოვაქვეყნებთ"



ადვოკატები პროკურატურას სტრასბურში უჩივიან

## ირაკლი აბესაძე: „მთავარი პროკურორი ივანიშვილის პოლიტიკური შოუს მონაწილეა"

გვ.7



## დავით ნემსაძე: „იოსებ ოსორაული კონგოში მ-22-ის დაჯგუფებას ჰყავს ტყვედ აყვანილი"

გვ.5





## პაატა სალია: „არავითარი ბერკეტი, „რუსთავი 2"-ზე ზედამხედველობის გაწევის, ჩვენ აღარ გვაქვს"

გვ.7



გვ.4

## ლევან ალაფიშვილი: „სტრასბურიდან ხელისუფლებამ სერიოზული სიგნალი მიიღო"

ISSN 1987-9385

## მაიკლ მალუფი: „აშშ-მა საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაამყაროს"



გვ.5



## რა ხარისხის შოკოლადი იყიდება ქართულ ბაზარზე

გვ.6

# ვინ მიჰყიდა მამა გიორგი მამალაძეს ციანიდი ნისიად





## ადვოკატები პროკურატურას სტრასბურში უჩივიან

შორენა მარსაგიშვილი

მამა გიორგი მამალაძის მიერ დაწყევლილი და წყევლისგან გაოგნებული პროკურატურა სტრასბურის სასამართლომ გამოაცოცხლა. ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მეორე დღეს საგამოძიებო უწყებამ ციანიდის საქმეზე მტკიცებულებების გამოქვეყნება დაიწყო.

მტკიცებულებების გამოქვეყნების წინა დღეს, 7 მარტს, პროკურატურას დაკავებული დეკანოზის ადვოკატებმა მიმართეს და გაუთქმელობის პირობის გაუქმება მოითხოვეს. საგამოძიებო უწყებამ ამ მოთხოვნაზე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მეორე დღეს კი, ადვოკატების თქმით, თავად დაარღვია ეს პირობა.

ამის გამო დაცვის მხარე სტრასბურში აპირებს ჩივილს. როგორც ბრალდებულის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ მედიასთან საუბარში განაცხადა, ევროსასამართლოში სარჩელი უახლოეს მომავალში შევა.

– პროკურატურამ დაარღვია ამ საქმეზე 8 თუ 9 სამართლის ნორმა, რის თაობაზე განცხადებაც დავწერე და შევიტანე პროკურატურაში. სტრასბურში ჩივილის დროც მოვა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წავალთ არა მარტო გაუთქმელობის პირობის დარღვევასთან დაკავშირებით, არამედ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევისა და უამრავი სამართლის ნორმის დარღვევის გამო. აქ იმდენი რამეა დარღვეული, რომ რამდენიმე მიმართულებით წავალთ სტრასბურში, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ფანცულაიამ.

ადვოკატებისგან განსხვავებით, პროკურატურის მიმართ ნდობით არის განმსჭვალული საპატრიარქო. საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავასთვის უცნობია, ჰყავდა თუ არა თანამზრახველები მამა გიორგი მამალაძეს. სამაგიეროდ იცის, რომ საგამოძიებო უწყებას უნდა ენდოს.

– ამ ეტაპზე არანაირი საფუძველი იმისა, რომ ეჭვი შევიტანოთ პროკურატურის მტკიცებულებებში, არ გაგვაჩნია, იმიტომ, რომ მტკიცებულებებს აქვს თავისი სტადიები. ერთია მტკიცებულებების მოპოვება, დამაგრება და შეფასება. საქართველოს საპატრიარქო ობიექტურად ადევნებს ამ მოვლენებს თვალს და დაელოდება ამ მტკიცებულების შეფასების სტადიას, თუ ის რამდენად ავთენტურია. ამ ეტაპზე არ გვაქვს უფლება შევიტანოთ რაიმე ეჭვი, –– აღნიშნა ქარჩავამ.

მედიასთან საუბარში საპატრიარქოს იურისტმა დაცვის მხარის არგუმენტებზეც ისაუბრა. ადვოკატ გიორგი ფანცულაიას მტკიცებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ციანიდის შეძენა პატრიარქის მდივან-რეფერანტმა შორენა თეთრუაშვილმა სთხოვა.

მისი განცხადებით, ეს არის დეზინფორმაცია და ადვოკატებს სთხოვს, უფრო კორექტულად მოიქცნენ.

– ადვოკატ გიორგი ფანცულაიას მინდა მოვუწოდო, რომ მან კორექტულად შეაფასოს არსებული სიტუაცია, რადგან ქალბატონ შორენას არ მიუმართავს მთავარი პროკურატურისთვის და არ ყოფილა დაინტერესებული, სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო მამა გიორგი მამალაძის მიმართ. შორენა თეთრუაშვილს დაზარალებულის სტატუსი პროკურატურის ანალიზის შედეგად აქვს, – მიმართავს ადვოკატებს საპატრიარქოს იურისტი.

### ციანიდი ნისიად და ბრილიანტები

ციანიდის საქმის გახმაურების პირველივე დღეს საგამოძიებო უწყებამ განაცხადა, რომ მათ აქვთ ვიდეოჩანაწერი. ადვოკატები კარგა ხანია ამ ვიდეოჩანაწერის ნახვას და გასაჯაროებას ითხოვენ. გავრცელებული ინფორმაციით, ეს ჩანაწერი საპატრიარქოში უკვე ნახეს.

ფარული ჩანაწერების ნაწილი პროკურატურამ გუშინ, 8 მარტს გამოაქვეყნა. ადვოკატების განმარტებით, ეს საუბარი დამონტაჟებულია.

საგამოძიებო უწყების მიერ გამოქვეყნებული მასალა თავდაპირველად მიმდინარე წლის 30 იანვრით თარიღდება. აქ არ ჩანს კონკრეტული პიროვნებები და ისმის მხოლოდ ხმა. მასალას ადევს ტიტრები. ტიტრების თანახმადაც, დეკანოზი გიორგი მამალაძე ამბობს, რომ მას 3 გრამი სჭირდება. დიალოგის დროს არ კონკრეტდება, რა ნივთიერებაზეა საუბარი.

– შენ მაგი გამიკეთე, რასაც გეუბნები და ბრილიანტები მერე ნახე, – ეუბნება გიორგი მამალაძე პროკურატურის მთავარ მოწმეს, ჟურნალისტ ირაკლი მამალაძეს.

პროკურატურა აქვეყნებს 2 თებერვლით დათარიღებულ სატელეფონო ჩანაწერსაც. შინაარსის გაგება ამ შემთხვევაშიც ტიტრებით შეგვიძლია.

ტიტრების თანახმად, მამა გიორგი მამალაძე ურეკავს ირაკლი მამალაძეს და ეუბნება, რომ „იმ საკითხზე“ აწუხებს.

ამავე სატელეფონო საუბრის ჩანაწერის თანახმადვე, გიორგი მამალაძე ამბობს, რომ სადღაც უნდა წავიდეს და რაღაც მანამდე სჭირდება. მოწმე მამალაძე მამაოს ეკითხება, თუ სად მიდის, რაზეც გიორგი მამალაძე პასუხობს, რომ უწმინდესთან უნდა ჩავიდეს.

ამ ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ ირაკლი მამალაძე ეკითხება, ის რაღაც „წასვლამდე სჭირდება თუ არა“, რაზეც გიორგი მამალაძე ეუბნება, რომ წასვლამდე სჭირდება. ამავე საუბარში, ტიტრების თანახმად, დეკანოზი გიორგი მამალაძე ამბობს, რომ თანხას ბოლომდე გადაიხდიდა, თუმცა თანხა გზაში სჭირდება.



პროკურატურის გამოქვეყნებული მორიგი ჩანაწერი 4 თებერვლით თარიღდება. სწორედ ამ ჩანაწერის თანახმად ირკვევა რომ ის რაღაც არის კალიუმის ციანიდი.

მოწმე მამალაძემ დეკანოზ მამალაძეს აცნობა, რომ კალიუმის ციანიდის მოძიება სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე მოწმემ შესთავაზა მის ნაცვლად ნატრიუმის ციანიდის შეძენა. ამავე ჩანაწერში საუბარია ფულად თანხაზეც.

ვიდეოჩანაწერის მიხედვით მამა გიორგი მამალაძე ინტერესდება, ექნება თუ არა რეაქცია ნატრიუმის ციანიდს.

– პროსტა გარანტია მინდა, რომ მოქმედი იქნება... ვიცი, რომ შაქრით ნეიტრალდება. მაგრამ ეგ ვინც არის, ის საერთოდ არ ჭამს ტკბილს, ერიდება რა, მაქსიმალურად, – ამბობს დეკანოზი.

## ჯარჯი წიკლაური: „კიდევ ბევრ მტკიცებულებას გამოვაქვეყნებთ“

ამის შემდეგ მას მოწმე მამალაძე ეკითხება: ეგ ჭიქაში არ რჩება? რაზედაც, ჩანაწერის თანახმად, მამაო ასე პასუხობს: რა ვიცი მე, არ მკიდია?! დარჩეს მერე, ვინ დაადგენს რო?! ექსპერტიზა, ვითომ?

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ მასალას ირაკლი მამალაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, ამ მასალების გარდა სხვა უამრავი ფაქტიც არსებობს.

პროკურატურის მთავარი მოწმე რჩება პირვანდელ პოზიციაზე და ამბობს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე არა შორენა თეთრუაშვილის, არამედ მაღალი სასულიერო იერარქიის პირის მოწამვლას ცდილობდა.

– ვრჩები იმ აზრზე, რომ მაღალი სასულიერო იერარქიის მქონე პირის წინააღმდეგ მზადდებოდა ეს. რაც გამოკვეთა გამოძიებამ, ეს გასაგებია. მე გამოძიების დაწყებაში მაქვს ასე მითითებული. სხვა მიმართულებითაც მიდის გამოძიება. მე არ ვფიქრობ და არ ვჩერდები მხოლოდ შორენა თეთრუაშვილზე, – აცხადებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბრისას ირაკლი მამალაძე.

საპატრიარქოს იურისტისგან განსხვავებით, ის მამა გიორგის თანამზრახველებზეც საუბრობს. ამბობს, რომ მათი ვინაობაც იცის.

– მამა გიორგის საუბარში ფიქსირდება ამ ნივთიერების გადაცემაც, სხვა ძალიან ბევრი რამ. ეს უნდა გამოავლინოს გამოძიებამ. მე პირადად შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ ნაცვალსახელი, რომლითაც ის მესაუბრებოდა (ჩვენ), მე ძალიან კარგად ვიცოდი, ვისზეც მესაუბრებოდა, ამ ეტაპზე სხვა ვერაფერს ვერ გეტყვით, – აღნიშნავს პროკურატურის მთავარი მოწმე.

ირაკლი მამალაძე არ ნანობს, რომ ამ საქმეში მონაწილეობდა. მისი თქმით, ეს ამბავი თუნდაც მხოლოდ იმიტომ ღირდა, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე გადარჩენილიყო.

– ეს იყო შუალედური ანგარიში, დანარჩენი გაირკვევა, თანამზრახველები და ასე შემდეგ. გამოძიებაში, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა უამრავი მტკიცებულება. დანარჩენს რას გამოაქვეყნებენ, მე არ ვიცი. მთავარია, ეს შუალედური გამოქვეყნდა. საზოგადოების გარკვეული ინტერესი დაკმაყოფილდა და აქედან გამომდინარე, მე პირადად, ძალიან კარგად ვიცოდი, რა და როგორ იყო. მაგრამ საზოგადოება, იმედია, დარწმუნდა. ნუ, შეკითხვებიც გაჩნდება, მე ამაში ეჭვი არ მეპარება. დანაშაულის აღკვეთის შედეგად შეიძლება დაზარალდა საპატრიარქოც, იგივე სახელმწიფოც, პირადად მეც, უამრავი თავდასხმის მოგერიება მიწევდა, მლანძღავდნენ 24 საათიან რეჟიმში, მაგრამ პირდაპირ გეუბნებით, ამისთვის ღირდა ნამდვილად ის, რომ თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე გადარჩენილიყო, – განაცხადა ირაკლი მამალაძემ.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერი დამონტაჟებულია იმგვარად, რომ საუბრის შინაარსობრივი მხარე შეცვლილია.

მისივე ინფორმაციით, ბრალდება, რომ დეკანოზი შორენა თეთრუაშვილის მოკვლას გეგმავდა, ჩანაწერში არსად ჩანს.

– „დასაბრედია“ შორენა, არ ნიშნავს, რომ უნდა დაბრიდო. ჩემი პოზიციაა, რომ გაასაჯაროონ მაშინ ჩანაწერის სრული ვერსია. ნაწილ-ნაწილ რომ ამოიღონ ჩვენებიდან საუბრის მონაკვეთები, შეიძლება ატომური ბომბის მომზადება დააბრალონ ადამიანს. როდესაც რაღაცას ასაჯაროებენ, უნდა იყოს დასაწყისი, შუა მონაკვეთი და დასასრული, რათა შინაარსზე შეგექმნას წარმოდგენა, – ამბობს ინტერპრენიუსთან საუბარში მიხეილ რამიშვილი.

ადვოკატის განცხადებით, ამ შემთხვევაში ეს ასე არ მომხდარა.

– ბევრი მონაკვეთი ამოჭრილია, რამაც საუბრის შინაარსობრივი მხარე შეცვალა. ჩვენი პოზიციაა, მსგავსი რამ რომ მართლა ყოფილიყო, ირაკლი მამალაძეს მისცემდნენ ციანიდს და დააფიქსირებდნენ, თუ როგორ აიღო დეკანოზმა ციანიდი. გამოძიებამ ის ვერ დაადგინა თუ ვისგან შეიძინა ციანიდი და იმას ადგენენ, რომ შორენას მოკვლა უნდოდათო? – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე თქმით, იმას, თუ რატომ ეძებდა და რისთვის ეძებდა დეკანოზი გიორგი მამალაძე პატრიარქის არჩევის წესს, ეს დროთა განმავლობაში გახდება ცნობილი.

დაკავებული ადვოკატის მეორე ადვოკატმა კი პროკურატურას დიდი მადლობა გადაუხადა. გიორგი ფანცულაიას თქმით, პროკურატურამ თავად გააჟღერა, რომ მამა გიორგი ციანიდს შორენას დავალებით ეძებდა.

– მადლობას ვუხდი პროკურატურას. ვიდეომასალები მიჭრეს–მოჭრეს, გადააკერეს–გადმოაკერეს და მაინც ვერ დაამტკიცეს, რომ მამაომ იყიდა ციანიდი, ასევე ვერ დაამტკიცებენ, რომ მამაოს შორენას მოკვლა სურდა და ფაქტია, არსად ჩანს ასეთი რამ. თავისივე პირით გააჟღერა პროკურორმა, მაშინ როდესაც განცხადებას კითხულობდა, რომ ციანიდს ეძებდა შორენას დავალებით. ვერ გაბედეს სრულად გაესაჯაროებინათ მასალა. მარტო ის სიტყვებია ამოკრეფილი, რაც მათთვის იყო სასურველი. რაც პროკურატურამ გაასაჯაროვა, ეს იყო მაქსიმუმი, რისი გასაჯაროებაც შეეძლოთ, ისიც დამახინჯებული ფორმით, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

მართალია ამ საქმეზე პროკურატურამ ბევრი იმუშავა, მაგრამ აქამდე ვერ დაადგია, თუ ვისგან შეიძინა დეკანოზმა ნისიად ციანიდი. თავიდან ითქვა, რომ მამა გიორგის ციანიდი ირაკლი მამალაძემ მიუტანა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მარტვილის მონასტრის წინამძღვარი „ნივის“ ჩამორთმევაზე: „გაგიგიათ, ხუთი წლით რაიმე გაჩუქონ და მერე უკან წაიღონ?“

– გაგიგიათ, ხუთი წლით რაიმე გაჩუქონ და მერე უკან წაიღონ? – ეს სასაცილოა, – ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში მარტვილის წმინდა ნინოს მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია თამარ გამყრელიძე აბაშის გამგეობის გადაწყვეტილებას, რომელმაც ჭყონდიდის ეპარქიას 2012 წელს გადაცემული „ნივა“ ჩამოართვა.



როგორც იღუმენია თამარ გამყრელიძემ განმარტა, „ნივას“ ჭყონდიდის ეპარქიაში წაჩხურუს მამათა მონასტერი მოიხმარდა, რომელიც მაღალმთიან ადგილზე მდებარეობს.

– წაჩხურუს მთავარანგელოზების ტაძარი სასწაულთმოქმედია და იქ ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათს უშვილო წყვილები ღმერთს შვილის ჩუქებას ევედრებიან. ამიტომ უმეტესობა აკვნებით ადის.

ხელშეკრულების მიზანი იყო, რომ ავტომობილი შემდგომ მონასტერს გადასცემოდა. თქვენ გაგიგიათ, ხუთი წლით რაიმე გაჩუქონ და მერე უკან წაიღონ? – ეს სასაცილოა, – განაცხადა დედა თამარმა.

ამასთან, მისი თქმით, „ნივა“ ძველი იყო და ბოლო პერიოდში მონასტერმა საკუთარი ხარჯებით შეაკეთა.

აბაშის გამგეობამ ჭყონდიდის ეპარქიას, რომელიც აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებს მოიცავს და რომელსაც მიტროპოლიტი პეტრე ხელმძღვანელობს, 2012 წელს გადაცემული „ნივა“ ჩამოართვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აბაშის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა განუცხადა, ავტომობილის ჩამორთმევა ხელშეკრულების ვადის ამოწურვას უკავშირდება.

– აბაშის გამგეობამ წლების წინ გადასცა „ნივა“ საჩუქრად აბაშის და მარტვილის ეპარქიას გამოსაყენებლად, თუმცა ავტომობილი სახელმწიფო ბალანსზე იყო.

5 თებერვალს გაუვიდა ხელშეკრულებას ვადა. მოხდება შეფასება და სავარაუდოდ ისევ დაუბრუნდება უკან ეპარქიას ავტომობილი. საუბარია 2007 წელს გამოშვებულ ავტომობილ „ნივაზე“, – განაცხადა მამუკა კვიტაშვილმა.

აბაშის გამგებელი კატეგორიულად უარყოფს, რომ ქმედება რაიმენაირად შესაძლოა უკავშირდებოდეს ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრე ცაავას მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებულ ხმაურიან განცხადებებს.



– პეტრე ცაავას განცხადებებს არანაირად არ უკავშირდება. ხელშეკრულება სახეზეა. 2012 წლის 5 თებერვალს 5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა და ამ ვადის ამოწურვის გამო მოხდა ავტომობილის უკან დაბრუნება, – განაცხადა მამუკა კვიტაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვინ მიჰყიდა მამა გიორგი მამალაძეს ციანიდი ნისიად

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ირაკლი მამალაძისაგან ამ ეტაპზე, როგორც ირკვევა, არ შეუძენია. შეთანხმებისამებრ, იგი აღარ შეხვდა მამალაძეს და გერმანიაში გამგზავრებამდე სხვა პირისგან შეიძინა აღნიშნული ნივთიერება, – განაცხადა ამ საქმის გამომძიებელმა ჯარჯი წიკლაურმა.

ადვოკატები დღემდე ამტკიცებენ, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ციანიდი ჩაუდეს. პროკურატურა ამ ინფორმაციას უარყოფს.

– გვინდა გამოვეხმაუროთ აბსურდულ ეჭვებს, რაც შეეხება ციანიდის ჩადებასთან დაკავშირებით. ცალსახად გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, როდესაც ბრალდებულმა ჩააბარა მისი ბარგი, ამ ბარგის ამოღება მოხდა აეროპორტის თანამშრომლების თანდასწრებითა და მათი მონაწილეობით. ადგილზე დაილუქა და გაკეთდა შესაბამისი ხელმოწერები.

დალუქული ბარგი საგამოძიებო ორგანოში გავხსენით ბრალდებულისა და მისი ადვოკატის თანდასწრებით. მათ დეტალურად შეამოწმეს ლუქის მთლიანობა, რომელიც დარღვეული არ ყოფილა და ამის შესახებ ოქმშია მითითებული. მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ლუქის მთლიანობა არ იყო დარღვეული, ბრალდებულმა ჩემოდანი კოდური საკეტით, რომელიც მხოლოდ მან იცოდა, პირადად გააღო. ეს ყველაფერი არის დასურათებული და აღბეჭდილი ფოტო გადაღებით, სურათებით. ამდენად, აბსურდულია ეჭვები, თითქოს რაიმე მანიპულაცია მოხდა ამ საგამოძიებო მოქმედებისას, – აღნიშნა საგანგებო ბრიფინგზე წიკლაურმა.

## ჩვენ, ესენი და Google

მთავარი პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებში, გამომძიებლების თქმით, დეკანოზის კარიერულ გეგმებზეც საუბრობს. საგამოძიებო უწყება ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დაკავებული გარკვეულ საკითხზე მრავლობით რიცხვში საუბრობს და ხშირად იყენებს სიტყვებს ჩვენ და ესენი.

8 მარტს გამოქვეყნებული ჩანაწერის მიხედვით, მამა გიორგი ამბობს, რომ საპატრიარქოში მის მოსახვედრად ესენი იბრძვიან.

– ახლა გეტყვი პირდაპირ: ესენი იბრძვიან, რომ მე მოვხვდე იქ, შიგნით, რაღაც თანამდებობაზე. ქონებაში ხომ ვარ? – ჩვენ ქონება არ გვაწყობს. ქონება ისეთი თემა არაა. ეს იყო იმისთვის, რომ იქ შევსულიყავით, – აღნიშნავს დაკავებული.

დაკავებული დეკანოზი ციანიდის ყიდვასთან დაკავშირებითაც მრავლობით რიცხვში საუბრობს. პროკურატურის გავრცელებული ჩანაწერში დაკავებული მოწმისგან იმის გაგებას ცდილობს თუ რამდენად შესაძლებელია, ნივთიერება აიღონ.



– რა კითხე, იცი? რამდენად შესაძლებელია ეხლა რომ ავიღოთ და ერთ თვეში რომ მივცეთ (ფული)... თუ არის შესაძლებელი, სასწრაფოდ გვჭირდება რა ეგ.... პროსტა მე ახლა იმაში მივდივარ, რა ქვია... უნდა წავიდე, მაგრამ მანამდე მჭირდება რა... უწმინდესი ხო ჩაიყვანეს და ჩავიდე უნდა რა, – ასე ეუბნება ჩანაწერის თანახმად მამა გიორგი ირაკლი მამალაძეს.

საგამოძიებო უწყების მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერში საუბარია ფულზეც, რომელიც ირაკლი მამალაძეს ციანიდის მოძიების სანაცვლოდ უნდა მიეღო. ამ კონტექსტში მამა გიორგი მამალაძე აცხადებს, რომ დარეკავს და ფულს გამოაგზავნინებს.

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერიდან ჩანს, რომ მათი მთავარი მოწმე ინტერესდება, აქვს თუ არა დეკანოზს პრეტენზია პატრიარქობაზე. ამაზე დეკანოზის პასუხი ასეთია: „მე ბევრ რამეზე მაქვს პრეტენზია, ჯერ თავს ვიკავებ“.

ჩანაწერის თანახმად, მამა გიორგიმ უკვე იცის თუ რა თანამდებობას დაიკავებს.

– მე წავალ ბოტკოველის ადგილზე, ან შორენას ადგილზე, ან მამა დავითის (გულისხმობს არქიმანდრიტ დავით ჭინჭარაულს) ადგილზე. უფრო პირველ რიგში მამა დავითის ადგილზე. არ ჩანს ეგ, პატრიარქს რომ უდგას სულ უკან, ეგაა... მისი ძმა ჯვრის მონასტრის წინამძღვარია, ლოთია, – ამბობს ჩანაწერის მიხედვით, პირისპირ საუბარში მამა გიორგი მამალაძე.

საუბარში ირაკლი მამალაძე ეკითხება მამაოს, რა სარგებელს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ საქმე მოგვარდება. დაკავებული დეკანოზი ამაზე შემდეგნაირად მიმართავს: შენ კარგ ადგილს დაიკავებ.

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ერი ბევრი უცნაურობის მომსწრე გახდა, მაგრამ საგამოძიებო სისტემასთან დაკავშირებულმა ამბავმა ყველა გააოგნა. ამის შემდეგ ერს ეცოდინება, რომ საძიებო სისტემაში ძრომიალი სულაც არ ყოფილა უსაფრთხო.

ამ ამბავში ყველაზე უცნაური ის არის, რომ მაღალი რანგის სასულიერო პირს, დეკანოზს წარმოდგენა არ ჰქონია თუ როგორ ხდება პატრიარქის არჩევა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, დაკავებული დეკანოზი გიორგი მამალაძე პატრიარქის არჩევის წესის შესახებ ინტერნეტით ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდა.

საგამოძიებო უწყების მიერ გასაჯაროებული მტკიცებულებებით, ბრალდებული დეკანოზი 2017 წლის 4 თებერვალს საძიებო სისტემა Google-ში წერს სიტყვებს „პატრიარქის არჩევის წესი“ და ვებ-გვერდზე orthodoxy.ge საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას ეცნობა.

5 თებერვალს ბრალდებული გიორგი მამალაძე ვებ-გვერდზე ორტჰოდოხყ.გე კვლავ ეცნობა ინფორმაციას



პატრიარქის არჩევის წესის შესახებ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციითვე, ბრალდებულის კუთვნილ მობილურ ტელეფონზე ჩატარებული კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით, დადგინდა, რომ გიორგი მამალაძე, მკვლელობის მიზნით, კალიუმის ციანიდის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ცდილობდა ინტერნეტ საძიებო სისტემის მეშვეობით. დაკავებული ასევე ინტერესდებოდა აღნიშნული ნივთიერების ზემოქმედებით ადამიანის ორგანიზმზე და მოწამვლის სიმპტომებით.

პროკურატურა განმარტავს, რომ აღნიშნული ინფორმაციის მოძიებას ბრალდებული ახდენდა მისსავე სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის მეშვეობით 2016 წლის 27 დეკემბრიდან მოყოლებული სისტემატურად.

◆ ◆ ◆

ციანიდის საქმეზე დღეს, 9 მარტს, შესაძლოა კიდევ უფრო სკანდალური ამბები გავიგოთ. ადვოკატების ინფორმაციით, მამა გიორგი მზადაა ჩვენების მიცემა გააგრძელოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ საქმეზე იქნება მსჯელობა დღეს, 9 მარტს დაგეგმილ სინოდის სხდომაზეც.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძის განცხადებით, პროკურატურის მიერ გავრცელებული კადრები საკმარისია საიმისოდ, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ბრალი წაუყენონ.

ცნობისათვის, ნანა კაკაბაძე ციანიდის საქმის შემდეგ ხშირად ჩნდება საპატრიარქოში და საქმის დეტალებშიც კარგად არის ჩახედული.

– ბრალის საფუძველი აშკარა იყო, ვინაიდან იქ ცალსახად ფიგურირებს შორენა თეთრუაშვილის გვარი და სახელი. და ისიც, რომ ის უნდა იყოს გაშვებული მარილზე და „დასაბრედია“. ეს ფრაზები იყო აბსოლუტურად საკმარისი იმ ბრალისთვის, რომელიც უნდა იყოს წაყენებული მამალაძისთვის, – ამბობს კაკაბაძე.

ის არ გამორიცხავს, რომ ციანიდი პატრიარქისთვის იყო განკუთვნილი.

– შეიძლება სხვა ვინმეც იყოს, ვინც არ ღებულობს შაქარს, მაგრამ პატრიარქს შაქრიანი დიაბეტის გამო პირდაპირ აკრძალული აქვს მიიღოს ტკბილი და ის ამას საერთოდ ვერ ღებულობს, ეს ერთი. მთავარი ისაა, რომ ეს მყარდება იმითაც, რომ ის ეძებს პატრიარქის არჩევის წესს, ესეც რაღაცნაირად უკავშირდება არა სხვის, არამედ პატრიარქის სიცოცხლის ხელყოფას, – განაცხადა კაკაბაძემ.

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე ნაფიც მსაჯულებს უნდა ჩააბარონ. მისი თქმით, ეს აუცილებელია, რადგან სასამართლოსადმი ნდობა ძალიან დაბალია.

მისი თქმით, პროკურატურას პირდაპირი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

– მე რაც ვნახე, ეს ყველაფერი არის ირიბი, პირდაპირი მტკიცებულება მე ვერ ვნახე და ვერ მოვისმინე. მე არ ვამტკიცებ, რომ აქ არ იგეგმებოდა დანაშაული, მაგრამ რაც გვითხრა დღეს პროკურატურამ, ამით დღეს კითხვები არ მოიხსნა იმავე ჩემოდანთან დაკავშირებით, რომ პლომბი დავადეთ, ეს ვქენით, ის ვქენითო. თუ მათ ჰქონდათ ოპერატიული თამაში დაწყებული, ირაკლი მამალაძეს ყველა საშუალება ჰქონდა და ამ ჩანაწერით ჩანს, რომ ციანიდი თუ არა, ცარცის ფხვნილი გადაეცა და ფაქტზე აეყვანათ მამა გიორგი მამალაძე და ასეთი უბედურება არ გვეყურებინა ორი თვე, – თქვა ხუხაშვილმა.

# საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ახალი შენობა აშენდება

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ახალი შენობა აშენდება. ამის შესახებ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძე განაცხადა.

ახალი შენობა კოსტავას №68-ში, იმავე ტერიტორიაზე აშენდება, რა მისამართზეც ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმე კორპუსია განთავსებული.

შენობასთან დაკავშირებით საუბარია არხის ახალი მენეჯმენტის სამომავლო გეგმაშიც. მასში აღნიშნულია, რომ ახალი შენობის პროექტირების პროცესი დაიწყება უახლოეს მომავალში.

აღნიშნულთან დაკავშირებული ტენდერი, სავარაუდოდ, ამ კვირაში გამოცხადდება.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალური მასაჟი ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკური, გასახდომი და ცელულიტის დამშლელი მასაჟი თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლევან ალაფიშვილი: „სტრასბურიდან ხელისუფლებამ სერიოზული სიგნალი მიიღო“

ნათია ხურცილავა

იურისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსთავი 2-ის საქმის ირგვლივ საუბრობს.

***– ბატონო ლევან, რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით რამდენად ელოდით, რომ სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მორიგე მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით, ამჯერად მოსამართლეთა კოლეგია გაიზიარებდა?***

– ეს იყო მორიგი შემოლაწუნება ძალიან სამარცხვინო ქმედებაზე, იმ ქმედებაზე, რომლის ავტორიც არის მთავრობა, იუსტიციის მინისტრი. ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო პრეცედენტი, რომელსაც სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა. სიმართლე გითხრათ, ეს არ მიხარია, რადგან საქმე ჩემს სამშობლოს ეხება. აქვე, იუსტიციის მინისტრის განცხადებაზეც მინდა ვთქვა, როდესაც მორიგე მოსამართლეზე გააკეთა აქცენტი. მან შესანიშნავად იცის, რომ მორიგე მოსამართლე, მოსამართლეა და მის ადმინისტრაციულ პოზიციას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ამაზე თამაში პოლიტიკოსის მხრიდან, როგორც მინიმუმ, სახელმწიფოებრივად უპასუხისმგებლობაა. არ შეიძლება მსგავსი აქცენტების დასმა, იმედია, მომავალში არ განმეორდება.

რაც შეეხება ღონისძიებას, რაც გამოყენებული იქნა: ეს ღონისძიება ყველა ქვეყანაში მოქმედებს, მათ შორის საქართველოშიც. ალბათ ყველას სმენია სასამართლოს მიერ გამოყენებული ყადაღის შესახებ. ეს გახლავთ სწორედ დროებითი ღონისძიება იმისთვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მხარეებმა ისეთი რამ არ მოიმოქმედონ, რომელიც შემდეგ დავას ან სასამართლო გადაწყვეტილებას აზრს დაუკარგავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ფართო მასებისთვის რომ იყოს გასაგები და არა მხოლოდ იურისპრუდენციაში ჩახედულებისთვის, საუბარია სწორედ ამ ღონისძიებაზე. ეს შეჩერება



იმოქმედებს მანამდე, სანამ სტრასბურის ევროპული სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

***– ბატონო ლევან, რაც შეეხება საქმის შინაარსობრივ მხარეს, ამ ეტაპზე რა გამოიკვეთა?***

– რაც შეეხება კონკრეტულად საქმეს, ჯერ საქმის არსებითი განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ დაუწყია. ამდენად, ამ ეტაპზე ვერ ვიმსჯელებთ შინაარსობრივ მხარეზე. რა იყო მისაღები, რა არ იყო მისაღები და ა.შ. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოქვეყნებულა. ასევე, ჯერ რუსთავი 2-ის მხარესაც არ გაუსაჯაროებია, რაზეც დავობს. შესაბამისად, ჯერ მის შინაარსობრივ ნაწილზე პროფესიულ დონეზე ვერ ვიმსჯელებთ. ვისი არგუმენტები უფრო მისაღები იყო ან უფრო დასაბუთებული იყო?! ეს პროცედურები ჯერ არ დაწყებულა. ამ ყველაფერზე მსჯელობა შესაძლებელი იქნება ერთი თვის შემდეგ.

***– საზოგადოების ნაწილს აქვს კითხვა, რამდენად დასაბუთებული არგუმენტები, მასალები წარადგინა მთავრობამ, როგორც მოპასუხემ მისი პოზიციის დასაცავად?***

– სწორი განმარტებები რომ გაეკეთებინა მთავრობას და ეს პოლიტიკაში არ გადაეზარდა, ასეთი მართლაც ლეგიტიმური კითხვები არ გაუჩნდებოდა საზოგადოებას. უზრუნველყოფის ღონისძიების დროს სასამართლო არსად, არც საქართველოში და არც სტრასბურში, პროცესს არ ატარებს. მაგალითად, ყადაღის დადების დროს სასამართლო სხდომა ხომ არ ტარდება, მოსამართლე ამ დროს მხარეებს ხომ არ ეკითხება, დავადო თუ არა ყადაღაო. ეს არის სასამართლოს ან ერთი მოსამართლის, ან კოლეგიის გადაწყვეტილება, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა სტრასბურში. პირველ შემთხვევაში ერთი მოსამართლისთვის და მეორე შემთხვევაში 7 მოსამართლისთვის ანუ კოლეგიისთვის საკმარისი, დამაჯერებელი აღმოჩნდა რუსთავი 2-ის არგუმენტები. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ რუსთავი 2-ს სარჩელიც კი გაუგზავნია. საქმისთვის, სარჩელის გარეშე ანუ დავის შინაარსის გაცნობის გარეშე, პრიორიტეტის მინიჭება, იცით რას ნიშნავს?! ეს ხელისუფლებისთვის ძალიან სერიოზული სიგნალი უნდა იყოს, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ რეალურად შეცვალოს. განსაკუთრებით კი სასამართლო სისტემის მიმართულებით.

***– საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულო იქნება ქვეყნისთვის?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რა ხდება სტრასბურის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ? აქ, ორი მიმართულებით უნდა ვიმსჯელოთ: პირველი, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დავაში სახელმწიფო გახლავთ მხარე, თუკი გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, მაშინ სახელმწიფოს ვალდებულება ექნება სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულოს. ეს არის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნა. მეორე, ჩვენს შიდა კანონებში, ვგულისხმობ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, პირდაპირ არის მითითებული, რომ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობა, საფუძველი არის, რომ ქვეყნის შიგნით არსებული განაჩენი თუ გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველი გახდეს და საქმის წარმოება განახლდეს.

***– საქმის არსებითი განხილვა როდის შეიძლება დაიწყოს სტრასბურის სასამართლომ?***

– მოგეხსენებათ როგორი გადატვირთული არის სტრასბურის ევროპული სასამართლო. თუმცა, საქმეს პრიორიტეტი რადგან მიენიჭა, მაქსიმალური ვადა, სავარაუდოდ, წელიწადნახევარზე მეტი არ უნდა იყოს. პრიორიტეტი სწორედ ამას ნიშნავს, რომ ეს საქმე სხვა საქმეებთან შედარებით ადრე განიხილოს სასამართლომ.

***– „რუსთავი 2 – საქართველოს წინააღმდეგ“, ამ ფრაზამ პოლიტიკური კონტექსტი შეიძინა. თუმცა, ეს დასათაურება არის ნორმა.***

– დიახ, თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე იყო ავტორი ამ პოლიტიკური კონტექსტის, რაც ძალიან სამწუხაროა. არ შეიძლება იურისტმა ასეთ კონტექსტში დაიწყოს პოლიტიკური სპეკულირება.

***– ირაკლი კობახიძემ განმარტა, რომ ეს მისი პოლიტიკური განცხადება იყო და არა, როგორც იურისტის განცხადება.***

– ვერავინ, მით უფრო იურისტი, ვერ იმართლებს თავს ამ კონკრეტულ შემთხვევაში. მით უფრო, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. არ შეიძლება ევროპული ინსტიტუტების, ევროპული ღირებულებების დისკრედიტირება. ეს არაფერს კარგს ჩვენს ქვეყანას არ მოუტანს. როდესაც უზენაესი სასამართლოს დღევანდელი თავმჯდომარე სტრასბურში წავიდა სამართლის საძიებლად, რაც ყველას კარგად ახსოვს, მისი საქმეც ასე დასათაურდა, როგორც ხდება: „ნინო გვენეტაძე – საქართველოს წინააღმდეგ, ტურავა – საქართველოს წინააღმდეგ“ და მერე რა?! მე არაერთი საქმე მიწარმოებია სტრასბურის ევროპულ სასამართლოში და ჩემი მოპასუხე მთავრობა ყოფილა, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მე ქვეყნის წინააღმდეგ გამოვდივარ.

# ნანა დევდარიანი: „სტრასბურმა საქართველოს ხელისუფლება გაამტყუნა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებამ რუსთავი 2-ის საქმეზე საზოგადოებაში აზრი ორად გაყო. ნაწილი ფიქრობს, რომ კარგია ასეთი გადაწყვეტილება, ამით ევროპამ საქართველოს ხელისუფლებას სილა გააწნა, ნაწილი კი უსამართლოს უწოდებს. რას იტყვით თქვენ?***

– ეს ძალიან რთული თემაა. ერთი მხრივ, ჩვენი ხელისუფლება ახერხებს ხოლმე, რომ ყველა საერთაშორისო ინსტიტუტში წარდგება სრულიად არასარწმუნო არგუმენტებით. ამაზე არაერთი საქმე მიგვითითებს, როდესაც ექსტრადიციაზე უარი უთხრეს საქართველოს მხარეს.

***– რისი ბრალია ეს, არაკომპეტენტურობის?***

– ერთი მხრივ, ეს არაკომპეტენტურობა და უუნარობაა, მაგრამ აქ მეორე, უფრო ღრმა პროცესია.

***– რომელი პროცესი?***

– გავიხსენოთ რა გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურის სასამართლომ 2011 წლის 26 მაისს? 6 წელი გავიდა, არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული! სულხან მოლაშვილზე 5 წლის მერე დადგა განაჩენი, ასევე 5 წლის მერე დადგა განაჩენი გირგვლიანის საქმეზე. ეს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ მოლაშვილსაც, რომელიც სასტიკად აწამეს და უკანონო პატიმრობაში ჰყავდათ, გირგვლიანსაც, რომელიც წამებით მოკლეს, მათ ოჯახებს მიაკუთვნეს მატერიალური კომპენსაცია.

მე ვსვამ კითხვას – ადამიანის სიცოცხლე, პატივი, ღირსება, მისი ჯანმრთელობა, წამებისგან დაცულობა 50 ათასი ევრო ღირს?! თანაც 5 წლის




მერე! აქ შეტანაც ვერ მოასწრეს, რომ გადაწყვეტილება ერთ საათში იქნა გამოტანილი.

***– საით მიანიშნებთ, ორმაგ სტანდარტებზე?***

– თუნდაც. დღეს ბევრს რომ ლაპარაკობენ, უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ერთ დღეში როგორ განიხილა და როგორ მოასწრო ამდენი ტომის შესწავლაო, ახლა რატომ არავინ სვამს კითხვას, სტრასბურის სასამართლოს კოლეგიამ ერთ დღეში როგორ განიხილა 18 ტომი, ყველაფერი შეისწავლა და კომპეტენტური პასუხი დადო?!

***– რატომ განიცდის „ოცნების“ ხელისუფლება მარცხს მარცხზე? არ ჰყავთ კომპეტენტური კადრები?***

– დღეს ყველა სახელმწიფო უწყებაში დატოვებულია ნაციონალების კუდი, თითქმის ყველა სამსახურში და პოლიტიკური ამინდი ამ სტრუქტურებში არ შეცვლილა. დღეს კი ცდილობენ ნაციონალები, იძახონ, რომ ეს რუსული სქემაა, სინამდვილეში კი ხდება უფრო ღრმა და ძალიან ცუდი პროცესი.

***– რას გულისხმობთ?***

– პროცესს, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება იმართება ბიზნესწესებით. როდესაც ერთი ბიზნესი მეორეს შთანთქავს. ასეთი შთანთქმის პროცესი მიდის. რასაც დაგვპირდა 2012-ში ბიძინა ივანიშვილი, რომ შუა უნდა გაიკრიფოსო, ეს 2016 წლის არჩევნებზე დააგვირგვინა. პრაქტიკულად ყველა პარტია გაანადგურა, ერთი ბურჯანაძის პარტია დარჩა, რომელიც ვერ დაშალა. დანარჩენი ყველა დაშალა და ლიდერები მოაშორა. ასეთი ბიზნესშთანთქმის პრინციპით მიმდინარეობს რუსთავი 2-ის საქმე.

ყველაფერი ეს არის ამ ხელოვნურად მოგონილი კოჰაბიტაციის ბრალი, რომელიც მაგათ დაამკვიდრეს, როცა არ დაერქვა თავისი სახელი არც სააკაშვილს, არც ნაციონალურ მოძრაობას და მის ზონდერებს, არც რუსთავი 2-ს, როგორც პროპაგანდის მანქანას.

***– ხელისუფლებას უჭირს ამ ძალასთან დაპირისპირება თუ მის ინტერესშია, რომ კვლავ ბუად ჰყავდეს?***

– ეს ძალიან კომფორტული სიტუაციაა. ამ ორ პარტიას ერთმანეთი აწყობს. „ოცნებას“ აწყობს ნაციონალური მოძრაობა, როგორც საფრთხობელა, 2016 წელსაც ხომ ამ დაშინებით მიიღეს ის შედეგი, რაც მიიღეს. ხოლო ნაციონალურ მოძრაობას აწყობს ეს ნიშა, რომ არის საპარლამენტო ოპოზიცია.

როგორც რუსთავი 2-ზე იძახიან, რომ ყველაზე ძლიერი და სიტყვის თავისუფლების გარანტი მედია საშუალებააო, ისე ესენი არიან ყველაზე ძლიერი საპარლამენტო ოპოზიცია.

როდის აქეთაა რუსთავი 2 თავისუფალი სიტყვის გარანტი ამ ქვეყანაში?! არ გვახსოვს, რა აქვთ ნაკეთები? არ გვახსოვს, პროგრამა ვრემიას რომ გვაჩვენებდნენ ყოველდღე კურიერში?

***– რუსთავი 2-ის უკან ივანიშვილის ინტერესი იკვეთება?***

– იცით, ეს რომ იყოს მარტო რუსთავი 2-ის შემთხვევა, შეიძლება დასვა კითხვები, მაგრამ როცა ჩვენ ვხედავთ მთლიანად მედია სივრცის გადანაწილებას, როდესაც იმედი იერთებს მაესტროს, ჯიდიეს-ის ნაწილს, როდესაც საზოგადოებრივზე ვხედავთ, პროცესები როგორ წავიდა. ვასილ მაღლაფერიძე რომ ბიძინა ივანიშვილის ფავორიტია, ამაში ეჭვი ხომ არავის ეპარება. მთლიანობაში ეს პროცესი ამყარებს ამ ეჭვებს.

***– შეილახა ევროსტრუქტურებში ხელისუფლების იმიჯი? შეძლო ეს რუსთავი 2-ის საქმემ?***

– სტრასბურის სასამართლოში საკითხი დგება ასე: კონკრეტული პირი საქართველოს წინააღმდეგ. დღეს კი ეცადა პარლამენტის თავმჯდომარე ეთქვა, რომ ამ დაპირისპირებაში საქართველო გამოვა გამარჯვებული, მაგრამ ფაქტობრივად სტრასბურის სასამართლომ თქვა, რომ თქვენ არ ხართ მართალი ამ საქმეში და შეაჩერა აღსრულება.

როგორც უნდა შეფუთონ და იძახონ, ფაქტი ერთია, იმიჯი კი არ შეილახა, მხარე გამტყუნდა. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება.

# პროტესტი აჩხოტში — „მოვკვდებით და წყალს არ დავთმობთ“

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ აჩხოტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა მტკნარი წყალი გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონულ აუქციონზე გაიტანა. აჩხოტის მოსახლეობა აუქციონის შეწყვეტას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მასშტაბური პროტესტით იმუქრება.

– წყაროს წყალი რომ იყიდება, ეს მას შემდეგ გავიგეთ, რაც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონულ აუქციონზე გაიტანა. ეს ერთადერთი წყაროა აქ. ეზოებში და სახლებში კი გვაქვს წყალი, მაგრამ ზამთარში ის იყინება და საერთოდ უწყლოდ ვრჩებით. ესეც რომ არ იყოს, ის ძალიან დაბინძურებულია და მისი სასმელად გამოყენება არ შეიძლება. დასალევად მხოლოდ ამ წყალს ვხმარობთ. ამ წყაროს წყალს იყენებს სასმელად არშის მოსახლეობაც. არ მივცემთ არავის მისი გაყიდვის უფლებას, ქალიან-კაციანად ფეხზე დავდგებით, მოვკვდებით და წყალს არ დავთმობთ, – აღნიშნა „მთის ამბებთან“ საუბარში აჩხოტში მცხოვრებმა ზაურ ვარძუკაშვილმა.

– ინტერნეტში შემთხვევით რომ არ გვენახა ეს ინფორმაცია, ეს წყალი ისე გაიყიდებოდა, რომ ვერც გავიგებდით. ერთადერთი წყაროს წყალია ამხელა სოფლისთვის. სხვა წყარო არ გვაქვს. არც კი გაგვაფრთხილეს, ისე გაიტანეს ელექტრონულ აუქციონზე. ვიყავით გარემოს ეროვნულ სააგენტოში და აუქციონის შეწყვეტის თხოვნით განცხადებაც შევიტანეთ.

სააგენტოში გვითხრეს, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, 2016 წლის 23 აპრილს შესულია წერილი, რომ აჩხოტის მოსახლეობა ინფორმირებულია წყლის შესაძლოა გაყიდვის თაობაზე და მათ საწინააღ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# მაიკლ მალუფი: „აშშ-მა საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაამყაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-რუსეთის ურთიერთობები გავლენას ახდენს სიტუაციაზე სხვა ქვეყნებშიც. სიტუაცია რთულია კავკასიაში.

საქართველოში, ერთი მხრივ, გამოითქმის შეშფოთება რუსეთის მრავალმხრივი გააქტიურების გამო. კომენტატორების ნაწილი კი ქვეყნისათვის სახიფათოდ მიიჩნევს ლიბერალური ინტერნაციონალის აქტივობებსა და ნატო-რუსეთის კონფლიქტის გაღრმავებას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ლიბერალები დონალდ ტრამპს საქართველოდანაც ებრძვიან.

ამ სიტუაციაში ახალი იდეით გამოდის ამერიკელი ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში მაიკლ მალური. იგი მოუწოდებს ამერიკის ადმინისტრაციას, ითანამშრომლოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ეკონომიკის სფეროში.

– ამერიკული ინვესტიციები მარტო სამხედრო სფეროთი არ უნდა შემოიფარგლოს. აუცილებელია ამერიკული ინვესტიციების დაბანდება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკაში, – აცხადებს ამერიკელი ექსპერტი.

უსაფრთხოების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ნატო სამხრეთ კავკასიის მიმართულებით არ უნდა გაფართოვდეს, ვინაიდან ამას მუქარად



აღიქვამს მოსკოვი.

მისი აზრით, კავკასიაში მშვიდობისათვის ჯობია, რომ ამ რეგიონში ნატოს წინ წამოწევა არ მოხდეს, ამერიკამ კი განავითაროს ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ამ ქვეყნებს, მალუფის განმარტებით, საკუთარი ეროვნული ინტერესები აქვთ და უხდებათ ურთიერთობა რუსეთთან.

დაახლოებით ამგვარ პოზიციას იზიარებენ ის დასავლელი ექსპერტები, რომლებიც აცხადებენ, რომ მშვიდობის შესანარჩუნებლად საქართველო და უკრაინა ამ ეტაპზე ნატოში არ უნდა შევიდნენ.

ამ პოზიციას არ იზიარებს ნატოს გენმდივანი. იენს სტოლტენბერგის აზრით, ყველა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს თავისი მომავალი და ამ ქვეყნებს ნატოში გაწევრიანებაზე უარს ვერ ეტყვიან.

რუსეთის გაღიზიანებას იწვევს არა მარტო საქართველოს შესაძლო შესვლა ნატოში, არამედ საქართველო-ნატოს სამხედრო მომზადების ერთობლივი ცენტრის გახსნის პერსპექტივა.

ნატოსა და რუსეთს შორის დიდი დაძაბულობა შეინიშნება ბალტიისპირეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. შვეიცარიული მედიის ცნობით, ბალტიის სახელმწიფოების თავზე დაფრინავენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები. მათ თვალყურს ადევნებს ნატოს საჰაერო პოლიცია.

– მუდმივად დაძაბულები ვართ. პატარა ინციდენტმაც კი შეიძლება გამოიწვიოს ტექტონიკური შედეგები საერთაშორისო მასშტაბით, – აღიარებს ფრანგი სამხედრო მფრინავი.

ნორვეგიაში მიმდინარე ნატოს წვრთნებს მოსკოვისათვის სიგნალად აფასებენ ნორვეგიელი ექსპერტები.

კანადის საგარეო მინისტრი რუსეთისგან მომავალ სხვაგვარ საფრთხეზე საუბრობს. ქრისტია ფრინლანდის აზრით, რუსეთს შეუძლია კანადის პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია. ამგვარი მცდელობა, მისი თქმით, იყო აშშ-ში.

ჩაერია თუ არა რუსეთი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში? ამის გარკვევა გრძელდება. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, ერთმანეთს ეჯახება შეთქმულების თეორია. ერთის მიხედვით, ტრამპი არჩევნების წინ პუტინს გაურიგდა. მეორეს თანახმად, ტრამპი ობამას მიერ დაგებული ხაფანგის მსხვერპლია.



სიტუაციას ამძიმებს სენატორ მაკეინის განცხადება. მისი აზრით, პორტალი ვიკილიქსი დაკავშირებულია რუსეთთან. ამასთან, იგი ამბობს, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია.

# დავით ნემსაძე: „იოსებ ოსორაული კონგოში მ-22-ის დაჯგუფებას ჰყავს ტყვედ აყვანილი“

გულიკო ბალაძე

სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე ექსკლუზიურად „ახალ თაობას“ უყვება, თუ როგორ ჩავარდა ტყვედ ქართველი მფრინავი იოსებ ოსორაული აფრიკაში, კონგოს რესპუბლიკაში, კერძოდ, კივუს პროვინციაში და რა ვითარებაში იმყოფება ის დღეს. დავით ნემსაძე აცხადებს, რომ სოსო ოსორაულთან დაკავშირებით არაჯეროვანი ინფორმაციები გავრცელდა.

***– ბატონო დავით, რას გულისხმობთ ოსორაულთან დაკავშირებით არაჯეროვანი ინფორმაციების გავრცელებაში?***

– ოსორაული ტყვედ 27 იანვარს ჩავარდა. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების თადარიგის პოდპოლკოვნიკია. შეიარაღებულ ძალებში, შექმნილი ვითარების გამო, გარკვეული პიროვნებები იძულებული გახდნენ, თავის გადარჩენაზე ეზრუნათ. ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობის დროს ავიაცია ნადგურდებოდა. იზორიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდშიც არაფერი შეცვლილა. მილიონებად გაზრდილი სამხედრო კადრები – მფრინავები, ბორტტექნიკოსები შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს. იოსებ ოსორაული 2015 წელს გაათავისუფლეს.

მფრინავის გაზრდას ათეული წლები სჭირდება. ქვეყანას ერთი მფრინავის გაზრდა 72 კილო ბაჯაღლო ოქრო (ეკვივალენტი ვალუტაში) უჯდება და შეიარაღებული ძალებიდან უმოტივაციოდ დაითხოვეს.

***– გათავისუფლების მიზეზი რა იყო?***

– პირადი პატაკი. პირადი პატაკის უკან რა იდგა, შემიძლია გითხრათ.

***– რა იდგა?***

– იოსებ ოსორაული იყო ის მფრინავი, რომელმაც თავის დროზე ნაცმოძრაობის დავალება არ შეასრულა. ოქრუაშვილის მინისტრობის დროს მას მისცეს დავალება, დაებომბა კოდორის ხეობის სოფელი ჩხალთა, მაგრამ უარი განაცხადა არა მარტო მან, არამედ სხვა მფრინავებმაც. ნაციონალებს ახირებები ჰქონდათ, ემზარ კვიციანს ებრძოდნენ, უნდა დაებომბათ მისი სახლი და ყველაფერი ამოეგდოთ. სენაკში რომ დაბრუნდნენ ბაზირების ადგილზე, დაკითხვები მოუწყვეს, პრობლემები შეუქმნეს.

გარდა ამისა, იოსებ ოსორაული იყო სენაკში ბაზის მეთაური. ერთ-ერთი რუტინული გაფრენის დროს, როდესაც ის სწავლებას ახორციელებდა, სააკაშვილიც ფრენდა სენაკის ბაზის თავზე, მას პატარა თვითმფრინავით ფრენას ასწავლიდნენ. რადიოსივრცე აბსოლუტურად თავისუფალია. სარაციო სისტემაში მოხდა სააკაშვილის ჩართვა საბრძოლო ბორტთან. საერთოდ, საქართველოში მიღებული პრაქტიკაა, როცა ხარ ჰაერში, ფრენების ხელმძღვანელს უკავშირდები რუსულ ან ინგლისურ ენაზე. სააკაშვილს არ მოეწონა, რომ ოსორაული საუბრობდა რუსულად. სააკაშვილმა უბრძანა, ბაზირების ადგილზე დამჯდარიყო. მეორე დღეს კობა ოსორაული საფრენოსნო ბაზის მეთაური აღარ იყო იმის გამო, რომ მან არ იცოდა ინგლისური.




ოსორაული ის მფრინავია, რომელმაც 2008 წლის 11 აგვისტოს განახორციელა საბრძოლო ფრენები და მეორე ქვეითი ბრიგადის ორი ბატალიონი გამოიყვანა ალყიდან, რაც არავინ იცის. ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს საჰაერო სივრცე დახურული იყო რუსული ავიაციის მიერ და საჰაერო ავიაციის მხრიდან ჰქონდა ზეწოლა. მან 30 მეტრ სიმაღლეზე წაიყვანა თვითმფრინავები და ისე დაიხსნა ქართველი ჯარისკაცები. ქართველი დედები არ გაამწარა, შვილები გადაურჩინა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი და კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებენ ჩემს სურათებს და აცხადებენ, რომ ტყვედ ვარ ჩავარდნილი.

***– რატომ აცხადებენ ამას?***

– ოსორაულის ტყვედ ჩავარდნის შესახებ ინფორმაცია პირველად მე გავაჟღერე ფეისბუქზე. რადგან არ ჰქონდათ ოსორაულის სურათი, იფიქრეს, რომ მე ვიყავი ოსორაული. ამ ინფორმაციას იწერენ უცხოელები.

თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა ძალიან ცუდი კომენტარი – თითქოს ოსორაულს შესთავაზეს უფრო მეტი, ვიდრე მას ჰქონდა შეიარაღებულ ძალებში. ის მიეყიდა თანხის გამო, წავიდა აფრიკაში და იქ დაიწყო მუშაობა. სინამდვილეში ეს ოსორაულის დიდი შეურაცხყოფაა. სჯობდა თავდაცვის სამინისტროს, საერთოდ, კომენტარი არ გაეკეთებინა.

სამხედრო მფრინავს ვერ უსაყვედურებ, თავდაცვის სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ „პონჩიკები“ რატომ არ გაყიდა ქუჩაში. სამხედრო მფრინავის გულით ყველა არ იბადება. თუ ოთხი შვილის მამას გაუჩნდა სურვილი, წასულიყო აფრიკაში, ეს მისი ბრალი არ არის.

***– ამჟამად რა ვითარებაა?***

– ამჟამად იოსებ ოსორაული კონგოში მ-22-ის დაჯგუფებას ჰყავს აყვანილი. იქ კონგოს ხელისუფლება სტაბილურობის ოპერაციას ატარებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იზორიას, ბაძაღუას, ტიბუასა და ჯანჯღავას ტყვეობაშია.

***– შემპირდით, რომ ექსკლუზიურ ინფორმაციას მომიყვებოდით.***

– ახლა მოგიყვებით იმის შესახებ, როგორ ჩავარდნენ ტყვედ, რაც არავისთვის მომიყოლია. 2017 წლის 7 იანვარს კონგოს ხელისუფლება კივუს პროვინციაში ატარებდა ოპერაციას. ქალაქ გომადან გაფრინდა ორი მ-24 ტიპის დამრტყმელი საბრძოლო ვერტმფრენი. კივუ არის ზღვის დონიდან 3.500 მეტრზე, მთაგორიანი, ტყით დაფარული მასივია. ერთ ბორტს მართავდა საქართველოს მოქალაქე ვიაჩესლავ პრუჟნიკოვი (რომელიც ენვერის ოპერაციის დროს ჰყავდა სააკაშვილს დაჭერილი და ქვეყნის მოღალატედ შერაცხული. პოლიტპატიმარი იყო), მეორე ვერტმფრენს მართავდა იოსებ ოსორაული.

ისინი მიწიდან 100 მეტრ სიმაღლეზე მიფრინავდნენ. როდესაც აკეთებდნენ რუტინულ მოხვევას, პრუჟნიკოვის ბორტს უმტყუნა საწვავი ავზების ტუმბომ, რამაც გამოიწვია ძრავის გათიშვა. პრუჟნიკოვი იძულებული გახდა, მოეხდინა ვერტმფრენის საავარიო დაშვება და ტყის მასივზე ზემოდან დასვა.

ეს შენიშნეს ამბოხებულებმა და დაიძრნენ ვერტმფრენის პირადი შემადგენლობის გასანადგურებლად. იოსებ ოსორაულმა, რომელიც მასთან ერთად მიფრინავდა, არ მიატოვა პრუჟნიკოვი.

***– თვითონაც დასვა ვერტმფრენი?***

– ვერტმფრენი არ დაუსვამს, პრუჟნიკოვი არ მიატოვა და დაიწყო ბორტის თავზე მანევრირება. მოწინააღმდეგეს ებრძოდა, რომ თანამებრძოლს არ მიახლოებოდნენ. ისე, ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე, შეეძლო მიეტოვებინა და დაბრუნებულიყო ბაზაზე, მაგრამ ეს არ გააკეთა. ერთ-ერთი მანევრის დროს მას ესროლეს, თვითონაც დაზიანდა და ისიც ავარიულად დაჯდა.

პრუჟნიკოვის ბორტზე იყო ორი ბელარუსი, ოსორაულის ბორტზე კი ორი უკრაინელი და ერთი ბელარუსი ჰყავდა. ვერტმფრენის ავარიული დაშვების დროს ერთი ბელარუსი ადგილზე დაიღუპა, მეორე უკრაინელი მოგვიანებით გარდაიცვალა. თვითონ ესენი კი დაიჭრნენ და ტყვედ ჩავარდნენ.

გაეროს მისიამ გადაარჩინა პრუჟნიკოვის ბორტი. ამინდის ცვალებადობის გამო, ვეღარ მიუსწრეს, რომ გადაერჩინათ იოსებ ოსორაული და მოეხდინათ მისი ევაკუაცია.

***– გაეროს მისია კოორდინაციაში იყო მათთან?***

– არა, რომ ვარდებოდნენ, სოს-სიგნალი გააგზავნეს.

***– ტყვედ ჩავარდნილები ახლა როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან?***

– ვიაჩესლავ პრუჟნიკოვი შესანიშნავად გრძნობს თავს. იოსებ ოსორაული კი, რომელსაც დიდი ღვაწლი აქვს ქართული სამხედრო ავიაციის მიმართ, ტყვედაა ჩავარდნილი. ასეთი დონის მფრინავის დაკარგვა აუხსნელია.

***– დაკარგული რატომ არის? ხომ ითქვა, რომ აუცილებლად გაათავისუფლებენ?***

– ეს ვინ თქვა? ოსორაული ტყვედ ჰყავს არაფორმალურ ძალას. არავინ იცის, რა მოხდება. აფრიკაში ბევრი სამხედრო დანაშაული ხდება. წარმოგიდგენიათ, მათი ოჯახის წევრები რა მდგომარეობაში ვარდებიან, როცა მოისმენენ, რას უშვრებიან სამხედრო მფრინავებს.

***– მათ თქვენ უკავშირდებით?***

– ბევრმა სცადა დაკავშირება ამ კონტინგენტთან აფრიკაში. რა ინფორმაციასაც გაწვდით, ეს ინფორმაცია მომაწოდა სწორედ იმ კონტინგენტმა, რომელიც დაინტერესებულია ოსორაულის გადარჩენით.

***– ტყვედჩავარდნილებს აქვთ საშუალება, რომ აქ ვინმეს ინფორმაცია მოაწოდონ თქვენ, სხვა ვინმეს, ან თავდაცვის სამინისტროს?***

– როგორც მე ვიცი, ოსორაულს ორჯერ დაარეკინეს. ამ შემთხვევაში, ომის საერთაშორისო კანონით, ტყვეთა გაცვლა არ მოხდება, გამოსასყიდს ითხოვენ.

***– რა გარანტიაა, ფულს რომ გადაუხდი, გაათავისუფლებენ?***

– გარანტია ისაა, რომ არავის აწყობს, დესტრუქციულ ქმედებაში შევიდეს საერთაშორისო საზოგადოებასთან, ან ამჟამინდელ აფრიკის ხელისუფლებასთან. ძალიან კარგად იციან, რომ სამაგიეროდ შეიძლება მიიღონ სხვა საბრძოლო იერიშები. ფულის გადახდის შემდეგ ოსორაული რომ არ გადმოსცენ, ეს საერთაშორისო სკანდალის თემა შეიძლება გახდეს.

ჩვენს შემთხვევაში მაინტერესებს, დროულად რატომ არ მოხდა ჩვენი მოქალაქის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ოსორაულის ტყვედ ჩავარდნის თაობაზე ერთი თვის მანძილზე ცნობილი იყო საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისთვის და ყველაფერს აკეთებდა, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტრო, რომ საკუთარი უნიათობა შეენიღბა.

***– ტყვედ ჩავარდნილების მიმართ რაიმე ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი?***

– არ მინდა ამაზე საუბარი. არანაირ წამებაზე ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ კონგო არის სახელმწიფო, სადაც სამხედრო დანაშაულობები ხშირად ხდება არაფორმალური შეიარაღებული ძალების მიერ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვის ჯიბეში მიედინება მცირე მეწარმეებისთვის განკუთვნილი მილიონები?

– ბიზნესში არსებობს ორი მომაკვდინებელი ცოდვა – იმოქმედო წინდაუხედავად და საერთოდ არ იმოქმედო, – წერს ერთ-ერთი ამერიკელი ბიზნესმენი.

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ წერტილზეა გაყინული, რასაც ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წელს მცირე ბიზნესში 138 ათასი კაცი იყო დასაქმებული, 2014 წელს – 168 ათასი, 2015 წელს მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა, რადგან დასაქმებულთა სიას მხოლოდ ათასი კაცი დაემატა.

2016 წლის მონაცემების მიხედვით კი, მცირე ბიზნესში 148 ათასი კაცია დასაქმებული. ბოლო წლებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა საშუალო ბიზნესშიც: ამ სექტორში 2015 წელს 100 ათასი კაცი საქმიანობდა, ხოლო 2016 წლის მონაცემებით – 96 ათასი ანუ იმდენივე, რამდენიც 2013 წელს.

საერთო ჯამში, წელს მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 25 ათასით შემცირდა. სამაგიეროდ, იზრდება მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვი. ამ სექტორში 2015 წელს 340 ათასი, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტალში 365 ათასი კაცი მუშაობდა.

„საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი თამაზ ვაშაკიძე აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის გარეშე საქართველოს ეკონომიკა ვერ განვითარდება და ქვეყანა სიღარიბის ჭაობიდან ვერ ამოვა.

**თამაზ ვაშაკიძე:**

– ყველაფრის მიზეზი მთავრობის არასწორი დამოკიდებულებაა. საქართველოს ყველა ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ საქართველოს მცირე მეწარმეობა არ სჭირდება. სამაგიეროდ, მცირე მეწარმეები საქართველოში არიან არაბები, ჩინელები და თურქები, რომლებსაც მათი ქვეყნები აფინანსებენ. ისინი 20-30 ათასი დოლარით შემოდიან საქართველოში, მცირე საწარმოებს ხსნიან და წარმატებულადაც საქმიანობენ.



თამაზ ვაშაკიძის თქმით, მცირე ბიზნესისგან განსხვავებით, საქართველოში მსხვილი ბიზნესი იმიტომ ვითარდება, რომ მას აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფო.

– მსხვილ ბიზნესს ჩვენი სახელმწიფო და კომერციული ბანკები ძალიან დიდ მხარდაჭერას უცხადებენ.

ბანკებს მთელ მსოფლიოში აკრძალული აქვთ სამეწარმეო საქმიანობა, ჩვენთან კი, მხოლოდ ერთი წელია, რაც აუკრძალეს.

რას ნიშნავს ეს აკრძალვა საქართველოში? – პრაქტიკულად, არაფერს. მაგალითად: M² ოფიციალურად აღარ არის „საქართველოს ბანკის“ კუთვნილი ორგანიზაცია, მაგრამ როგორ მუშაობს? – „საქართველოს ბანკის“ კრედიტზე.

ანაკლია მისცეს „თიბისი ბანკს“ და მილიარდამდე დაფინანსება გამოუყვეს... მცირე ბიზნესის წარმომადგენლები მსგავს პრივილეგიებზე ვერც იოცნებებენ. შეიძლება გიგანტური საწარმოები ვერ დაარსდეს, მაგრამ ჯინსების ან მაისურების შეკერვა აღარ შეგვიძლია?! ქვეყანაში მილიონობით ლარის ოდენობის გრანტი შემოდის და არავინ იცის, ეს ფული სად მიდის. გამოდის, რომ ამხელა თანხა მხოლოდ ტრეინინგებში იხარჯება, რადგან წინსვლა ამ სფეროში საერთოდ არ იგრძნობა.

სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვს ეკონომიკის ექსპერტ მიხეილ დუნდუას.

„ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მან განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკა ძლიერი არ არის და ამ პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესიც ვერ იქნება ძლიერი, თუმცა ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა.

**მიხეილ დუნდუა:**

– ავიღოთ თუნდაც „აწარმოე საქართველოში“, ან სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სხვა პროგრამები – ეს ყველაფერი მცირე მეწარმეობის განვითარების მიზნით კეთდება.

ახლა ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების წამოწყება, რომელიც კომერციულ ბანკებს წაახალისებს და წააქეზებს, რომ მათ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება შეძლონ.

ეს საკითხი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოიკვლია, მათ შორის, გერმანიის განვითარების ბანკმა, ხოლო სავალუტო ფონდმა ეროვნულ ბანკს უკვე მისცა რეკომენდაციები, რომლითაც გაადვილდება ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება.

თუ ეროვნული ბანკი ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს გადადგამს და სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, წინსვლა აუცილებლად იქნება.

„საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ანზორ საკანდელიძე კი მიიჩნევს, რომ მცირე ბიზნესს ვერანაირი პროგრამა ვერ უშველის, თუ სახელმწიფომ მისი რეალური ხელშეწყობა არ დაიწყო.

**ანზორ საკანდელიძე:**

– ამ სფეროს სერიოზული სტიმული სჭირდება, სხვაგვარად წინ ვერ წავალთ. ამდენი წელია მცირე ბიზნესის პრობლემებზე ვმუშაობ და მცირე მეწარმეობის აღდგენა რეალურად არავის სურს, რადგან არ სურთ ხალხის დასაქმება და საშუალო ფენის შექმნა.

დღეს მცირე მეწარმეებს თვალსა და ხელს შუა ძარცვავენ: კაცმა არ იცის, ვინ სარგებლობს უცხოეთიდან შემოსული გრანტებით და დახმარებებით, რომელიც მცირე მეწარმეებს ეკუთვნით. ქვეყანაში არ არსებობს კანონი, არ არსებობს ორგანო, რომელიც ამ ყველაფერს გააკონტროლებს და ასეულობით მილიონი დოლარი მიედინება მაფიოზების ჯიბეში.

საქართველოში საშუალო ფენის შექმნა არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებას არ სურდათ, მათ ტრადიციებს არც დღევანდელი ხელისუფლება ღალატობს, – აცხადებს „თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე.

# რა ხარისხის შოკოლადი იყიდება ქართულ ბაზარზე

რუსეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბაზარზე არსებული შოკოლადის 25 პროცენტი ნამდვილი არ არის. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რა ხარისხის შოკოლადი იყიდება ქართულ ბაზარზე.

შოკოლადი „ბიელას“ მწარმოებელი შპს „ბუერი“-ს დამფუძნებელი ლაშა თოფურია აცხადებს, რომ საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადს არავინ აწარმოებს, რადგან ასეთი პროდუქტი ძალიან ძვირია.

– სხვანაირად, 1 ფილა შოკოლადი 5 ლარი ეღირება, – აცხადებს თოფურია.

მისი თქმით, დღეს საქართველოს ბაზარზე კაკაოს ცხიმის ეკვივალენტისგან დამზადებული პროდუქტი იყიდება, თუმცა ამაში არანაირი დანაშაული არ არის.

– საქართველოში 100 პროცენტით შოკოლადის არც წარმოება ხდება და არც იმპორტი. ამაში არანაირი დანაშაული არ არის, რადგან მთელი მსოფლიო კაკაოს შემცველ ცხიმებს მოიხმარს. იაფი არ იყიდება საქართველოში არაფერი და ძვირი გაიყიდება? ჩვენთან კრიზისია, – აცხადებს თოფურია.

„ბარამბოში“ აცხადებენ, რომ კომპანია უმაღლესი ხარისხის ნედლეულზე დამზადებულ პროდუქციას აწარმოებს. კომპანია თანამშრომლობს ბელგიასთან, საიდანაც შემოდის ნედლეულის სახით კაკაოს პროდუქტები და აქ მისი გადამუშავება ხდება.

– რაც შეეხება კონკურენტ კომპანიებს, რეალურად, იგივე ფასად მათ აქვთ შოკოლადის შემცველი პროდუქცია, „ბარამბოს“ კი 100 პროცენტით შოკოლადის წარმოება აქვს. ჩვენს პროდუქციაში კაკაოს შემცველობა ბევრად მაღალია და ის ნამდვილად კაკაოზე და შოკოლადის ნედლეულზე მზადდება.

რუსეთი ხშირად წარმოებაში კაკაოს ფხვნილს იყენებს. „ბარამბო“ კი პროდუქციას კაკაოს მარცვლისგან



ამზადებს და არა – ფხვნილისგან. ჩვენც გვაქვს მსგავსი სახის პროდუქტი, რაც შედარებით იაფია. ეს ეტიკეტზე მითითებულიც არის. რაც შეეხება შოკოლადს, ის არის უმაღლესი ხარისხის, ბელგიურ ნედლეულზე დამზადებული ქართული შოკოლადი, – აცხადებენ „ბარამბოში“.

მათი განმარტებით, ასეთ დროს კომპანიას სანქციას ვერ დაუწესებ, რადგან ეს არის მარკეტინგული მიდგომა, აწარმოო დაბალხარისხიანი პროდუქტი. „ბარამბოში“ აცხადებენ, რომ ეს ჯანმრთელობისთვის მავნებელი არ არის და მზადდება იმ ნორმებში, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მიღებულია.

კითხვაზე, კომპანიის მიერ წარმოებული საშუალო და მაღალსეგმენტზე გათვლილი პროდუქცია უფრო იყიდება თუ დაბალ სეგმენტზე გათვლილი, „ბარამბოში“ აცხადებენ, რომ მომხმარებელი გრძნობს სხვაობას და ხარისხიან პროდუქციას ყიდულობს.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# გამოკითხულ რესპონდენტთა 61.2%-ის თქმით, რესტორანში იშვიათად დადის

„ბიზნესპრესნიუსზე“ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა 61.2%-ის თქმით, რესტორანში იშვიათად დადის.



გამოკითხვაში მონაწილეთა 28.2% ამბობს, რომ რესტორანში მხოლოდ თვეში ერთხელ მიდის. ხოლო 7.2% ამბობს, რომ ისინი რესტორანში კვირაში ერთხელ დადიან. 3.3%-ის თქმით, რესტორანს კვირაში რამდენჯერმე სტუმრობენ.

გამოკითხვაში მონაწილეობა სულ 691-მა ადამიანმა მიიღო. გამოკითხვა საიტზე 2 თებერვლიდან 8 მარტამდე მიმდინარეობდა.

# ქუთაისში მოსახლეობას ტრანსპორტი ძველი ტარიფით ემსახურება

ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის მძღოლების ორდღიანი აქცია დასრულდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მიკროავტობუსები და ავტობუსები მგზავრთა გადაყვანას ძველი ტარიფით უზრუნველყოფენ.

ქუთაისის მერიამ ის მძღოლები, რომლებმაც არასანქცირებული აქცია



გამართეს და თვითნებურად მგზავრობის საფასური გაზარდეს, დააჯარიმდნენ.

– მგზავრობის ღირებულების 10 თეთრი ზრდა ასე ცალსახად არ მოხდება. ჩვენ მძღოლებს შევთავაზეთ გარკვეული პირობები, რომელზედაც უმრავლესობა დათანხმდა. მინდა გითხრათ, რომ გუშინ რამდენიმე საათით 50-მდე მძღოლმა მგზავრობის ღირებულება თვითნებურად გაზარდა, რის გამოც ისინი 100-100 ლარით დავაჯარიმეთ, – აღნიშნავს ქუთაისის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი ირაკლი ცხვედიანი.

ქუთაისში 600-მდე მძღოლი ორი დღის განმავლობაში გაფიცული იყო. ისინი მგზავრობის ღირებულების 10 თეთრით გაზრდას ითხოვდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# პროტესტი აჩხოტში – „მოვკვდებით და წყალს არ დავთმობთ!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მდეგო არაფერი აქვთ. ეს ტყუილია. ჩვენ არაფერი ვიცოდით. ამ წყალს არავის დავანებებთ, – ამბობს ნუნუკა შიოლაშვილი.

„მთის ამბები“ კომენტარისთვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გივი ქირიკაშვილს დაუკავშირდა.

– 3 დღის წინ ჩვენ გვქონდა შეხვედრა მოსახლეობასთან, ისინი მოვიდნენ გამგეობაში. როგორც მათ ჰგონიათ, რომ წყალი ჩვენი მოთხოვნით გაიტანეს აუქციონზე, ასე არ არის. ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს კანონით. მტკნარი წყალი



აუქციონზე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გაიტანა. არც არანაირი წერილი არ გაგვიგზავნია, რომ მოსახლეობას წყლის შესაძლოა გაყიდვის თაობაზე ინფორმაცია მივაწოდეთ და ისინი თანახმანი არიან. ეს სიცრუეა. იმ წყაროზე 1 წამში 7 ლიტრი წყალი მოდის. აუქციონის პირობების თანახმად, წყლის მოპოვებისთვის უნდა მოხდეს მხოლოდ 2 ლიტრი წყლის გამოყენება, დანარჩენი 5 ლიტრი ისევ მოსახლეობას დარჩება და მათ სასმელი წყლის მოხმარებაზე არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, – აცხადებს ქირიკაშვილი.

სოფელ აჩხოტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა მტკნარი წყალი გარემოს ეროვნულმა სააგენტომ აუქციონზე 2017 წლის პირველ მარტს გაიტანა. აუქციონი 10 მარტს უნდა დასრულდეს. საწყისი ფასი 10 ათას 65 ლარია, ბიჯის ფასი კი 1.006 ლარი და 50 თეთრი.

სარგებლობის ლიცენზიის ვადა 25 წელია. აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა გამარჯვებულმა აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს.

„მთის ამბები“ კომენტარისთვის გარემოს ეროვნულ სააგენტოსაც დაუკავშირდა. სააგენტოში შეგვპირდნენ, რომ ოფიციალურ პასუხს მოგვაწვდიან. „მთის ამბები“ გარემოს ეროვნული სააგენტოს პასუხს მიღებისთანავე გამოაქვეყნებს.

# საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ გამგზავრებას 28 მარტიდან შეძლებენ

საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში უკვე გამოქვეყნდა.

ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებულია რეგულაცია 2017/372 – დადებული ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს შორის, რომელიც, თავის მხრივ, ცვლის 539/2001 რეგულაციას მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის და საქართველოს მოქალაქეები იმ ქვეყნების სიაში გადაჰყავს, რომლებსაც ევროკავშირში სამოგზაუროდ ვიზები არ სჭირდებათ.

საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღებასთან დაკავშირებული რეგულაცია, რომელსაც ხელი 1-ელ მარტს მოეწერა, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან 20 დღეში ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე მოკლევადიანი ვიზიტით უვიზოდ გამგზავრებას შეძლებენ.

უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში იქნება შესაძლებელი.



# პაატა სალია: „არავითარი ბერკეტი, „რუსთავი 2“-ზე ზედამხედველობის გაწევის, ჩვენ აღარ გვაქვს“

– არავითარი ბერკეტი, „რუსთავი 2“-ზე ზედამხედველობის გაწევის, ჩვენ აღარ გვაქვს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ განუცხადა.

მისივე განმარტებით, ბერკეტების არქონა ქიბარ ხალვაშის მხარის ფინანსურ ინტერესებს პირდაპირ აყენებს ზიანს და ამის დასაბუთებას სტრასბურის სასამართლოში ეცდებიან.

– სტრასბურის სასამართლოს ჩვენთვის არაფერი არ აუკრძალავს. ჩვენ შეგვიძლია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩავიბაროთ და წარვადგინოთ საჯარო რეესტრში, მაგრამ საჯარო რეესტრმა ვერ უნდა აღასრულოს ამ შეზღუდვის გამო. ჩვენ სტრასბურში მიმდინარე დავის მონაწილე ჯერ არ ვართ. წარვადგინეთ მოთხოვნა და გვინდა, რომ გვქონდეს ჩვენი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ევროკონვენციის 36-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ ჯერ ველოდებით, რას გადაწყვეტს ამ საკითხზე.

არავითარი ბერკეტი, „რუსთავი 2“-ზე ზედამხედველობის გაწევის, ჩვენ აღარ გვაქვს. ეს ჩვენ ფინანსურ ინტერესებს პირდაპირ აყენებს ზიანს და ალბათ მოგვეცემა ამის შესაძლებლობა, რომ ეს სტრასბურის სასამართლოში დავასაბუთოთ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩეს და იმის გამო, რომ შეიძლება სტრასბურში დავა წლობით გაიჭიმოს, ვერ ვისარგებლოთ ქონებით, მოგვადგეს ფინანსური ზარალი და ა.შ., – განაცხადა პაატა სალიამ.




ამის მიუხედავად ადვოკატი განმარტავს, რომ მოდავე მხარე „მოთმინებით დაელოდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას“.

– ჩვენ მოთმინებით ვართ აღვსილი. ბრძოლა არ დასრულებულა. ეროვნულ სასამართლოებში გავიმარჯვეთ. დაველოდებით სტრასბურის სასამართლოს და ალბათ სტრასბურის სასამართლო დაადგენს, რომ არ ჰქონია ადგილი არსებით დარღვევებს, რამაც გავლენა იქონია საქმის გადაწყვეტაზე.

იმედი გვაქვს, უფრო დიდი ლეგიტიმაციის გადაწყვეტილება იქნება ჩვენს სასარგებლოდ, – აღნიშნა ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ბაგებში მამაკაცის ცხედარი იპოვეს




თბილისში, ბაგების მიმდებარე ტერიტორიაზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი აბაშიშვილი: „ეს არის კიდევ ერთი მესიჯი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისთვის დემოკრატია“



– ეს არის კიდევ ერთი მესიჯი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისთვის დემოკრატია, – ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, რუსთავი 2-ის საქმეზე სტრასბურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას გააკეთა.

აბაშიშვილი ამბობს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და კიდევ ერთი მესიჯი ევროპისგან საქართველოს. მისივე თქმით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის,თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისთვის ქართული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება.

– ეს არის კიდევ ერთი მესიჯი ევროპის მიერ საქართველოსადმი,თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისთვის დემოკრატია, რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლება, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი. ამას ევროპა აფასებს, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

**პირველი რადიო**

## ჩვენს მოსამართლეებს რა ეშველებათ... იმ ცხრას განსაკუთრებით? - ეკა გიგაური



საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს თავმჯდომარე ეკა გიგაური სტრასბურის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც რუსთავი 2-ის საქმეზე აღსრულება უვადოდ შეჩერდა.

– მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დროებით ღონისძიებას გააგრძელებდა მაგრამ აი ჩვენ მოსამართლეებს რა ეშველებათ (ყველას არ ვგულისხმობ)? იმ ცხრას განსაკუთრებით.... აი რა გადაწყვეტილება უნდა დაწერონ ახლა, რითი იმართლონ თავი? ერთმა მაინც დასვა კითხვა, რას ვაკეთებთ, ეს ამბავი ქვეყნიდან რომ გავიდეს, რამხელა დარტყმა მიადგება ქვეყნის რეპუტაციას?“ – წერს ეკა გიგაური.

**პირველი რადიო**

## გერმანიაში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს




გერმანიაში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს. ინფორმაციას სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს. წინასწარი ინფორმაციით, ინციდენტი ქალაქ ლაიფციგში მოხდა. დაჭრილი ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ცეცხლსასროლი იარაღით 7 ჭრილობა აქვს მიყენებული, მათ შორის, ერთი თავში.

დაჭრილის ახლობლის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. დაჭრილის მეგობრები დახმარებას ითხოვენ. როგორც ამბობენ, მათ არ აქვთ ინფორმაცია დაშავებულის ოჯახის და ახლობლების შესახებ. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დამატებით დეტალებს საქართველოს საკონსულო გერმანიაში არკვევს.

**პირველი რადიო**

## ირაკლი აბესაძე: „მთავარი პროკურორი ივანიშვილის პოლიტიკური შოუს მონაწილეა“



მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო მიიჩნევს, რომ ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ მთავარი პროკურორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

როგორც ფრაქციის წევრმა ირაკლი აბესაძემ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, დღეს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულმა წინააღმდეგობრივმა მტკიცებულებებმა კიდევ ერთხელ გაამყარა მოსაზრება, რომ მთავარი პროკურორის პირველ დღეს გაკეთებული განცხადება იყო მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის და მიმართული, რომ საზოგადოებაზე მოეხდინა არასწორი ზეგავლენა.

– კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მთავარი პროკურორი არის მხოლოდ ივანიშვილის პოლიტიკური შოუს მონაწილე და იმ უკანონო, ხშირად დანაშაულებრივი ზრახვების შემსრულებელი, რომელსაც ივანიშვილი იყენებს საკუთარი არაფორმალური მმართველობისას.

სწორედ ამიტომ არის, რომ მთავარი პროკურორი, რომელიც დაკავებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეებზე ჭეშმარიტების დადგენით და გამოძიებით, უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც პოლიტიკოსის, როგორც პოლიტიკურ შოუში მონაწილის, რითაც ის არღვევს პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის არაერთ მუხლს, სჩადის დანაშაულებრივ მოქმედებებს.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, საპროკურორო საბჭომ დროულად დაიწყოს მთავარი პროკურორის საქმიანობაში დანაშაულებრივი ნიშნების არსებობის შესწავლა, რათა დადგეს მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## თერჯოლაში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა, სამი კი დაშავდა



თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, სამი კი დაშავდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფოს ბრიგადები იყო მობილიზებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე საცხოვრებელ სახლში აფეთქება მოხდა



თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე,სავარაუდოდ, გაზის აფეთქების შედეგად საცხოვრებელ სახლში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი დაახლოებით, 60-80 კვადრატული მეტრის ფართზე გაჩნდა.

როგორც „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, ხანძარი ლოკალიზებულია და მომხდართან დაკავშირებით დეტალებს გამოძიება დაადგენს.

**ნიუპოსტი**

## გიორგი მშვენიერაძე: „პირველ რიგში ხელი უნდა გავიშვიროთ იმ 9 მოსამართლისკენ, რომლებმაც ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება“



არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძე აცხადებს, რომ თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაადგენს, რომ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა, რასაც შედეგად მოყვა სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის და ყარამანაშვილების უფლებების დარღვევა, პასუხი უნდა აგონ კონკრეტულმა ადამიანებმა.

– ბუნებრივია, ამ ყველაფერში, პირველ რიგში, ხელი უნდა გავიშვიროთ იმ 9 მოსამართლისკენ, რომლებმაც, სამწუხაროდ, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა რისკი, რომ საქართველოში დავმშვიდობებოდით სიტყვის თავისუფლების დღეს არსებულ სტანდარტს და საქართველოში შეგვეფერხებინა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, – განაცხადა გიორგი მშვენიერაძემ.

**პირველი რადიო**

## საზარელი ავარია პატარძეულთან — არიან დაშავებულები



კახეთში, პატარძეულის ხიდთან, სატვირთო მანქანა პატრულის ავტომობილს დაეჯახა. როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველებმა აცნობეს, არიან დაშავებულებიც, რომლებიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ახლომდებარე კლინიკაში გადაიყვანა.

**ნიუპოსტი**

## სადახლოზე, ნინოწმინდასა და სარფში დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სადახლო საავტომობილო“, „ნინოწმინდა“ და „სარფი“, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის (ჯამში, 26.860 ღერი) ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის 5 ფაქტი აღიკვეთა.

პირველ შემთხვევაში საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, 4 კანონდამრღვევ მოქალაქეს კი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით, თითოეულს შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით.

**პირველი რადიო**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2017, 9 მარტი, №57

# კლიმკინი ტილერსონს შეხვდა

უკრაინის საგარეო მინისტრი კლიმკინი აშშ-ის სახელმწიფო მდივან ტილერსონს შეხვდა.

შეხვედრაზე ტილერსონმა თავის უკრაინელ კოლეგას განუცხადა, რომ კიევთან ურთიერთობებს ვაშინგტონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთია როგორც პრეზიდენტ ტრამპის, ასევე მთავრობისა და კონგრესის პოზიცია.

აშშ დაინტერესებულია უკრაინის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის უნიტარული მოწყობის შენარჩუნებით.

— უკრაინა ჩვენი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მოკავშირეა. ამერიკა კი მოკავშირისადმი ერთგულებას ყველაფერზე მაღლა აყენებს, — თქვა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კლიმკინს განუცხადა, რომ უკრაინისადმი მხარდაჭერა გაგრძელდება. ძალაში დარჩება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები. ამას გარდა, აშშ მზადაა, დაეხმაროს უკრაინას შეიარაღებული ძალების შემდგომ განმტკიცებაში, კორუფციასთან ბრძოლასა და რეფორმების გატარებაში.

განხილულ იქნა აგრეთვე რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემთხვევაში უკრაინა-აშშ-ის ერთობლივი მოქმედების დეტალები.



უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ტილერსონთან მოლაპარაკებების შედეგებით კმაყოფილია.

— მივიღეთ გარანტიები, რომ აშშ მხარს დაგვიჭერს, — თქვა მან და დაამატა, რომ ვაშინგტონი როგორც დონბასს, ასევე ყირიმსაც უკრაინის განუყოფელ ნაწილად აღიქვამს და ამ საკითხში კომპრომისი გამორიცხულია.

ამავე დროს, კლიმკინმა აღნიშნა, რომ უკრაინაში რუსეთის აქტიურობა გაიზარდა. ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამდეც ერთი ნაბიჯია.

— დადგა დრო, როცა ამერიკის სენატმა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები უნდა შემოიღოს, — განაცხადა კლიმკინმა

პრეზიდენტმა ტრამპმა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეხვედრის შემდეგ საინტერესო კომენტარი გააკეთა. მან თქვა, რომ პუტინი მთელი რვა წლის განმავლობაში ობამას ატყუებდა, აიძულებდა პოზიცია-პოზიციაზე დაეთმო. ამის შედეგია სირიის ტრაგედია, ომი დონბასში და ყირიმის ანექსია.

— ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! — აცხადებს ტრამპი.

# ქაბულში ტერორისტებმა სამხედრო საავადმყოფოს დაარტყეს



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში 4 ტერორისტი სამხედრო საავადმყოფოს თავს დაესხა. ტერორისტები ექიმების ფორმაში იყვნენ გადაცმულნი და ამის გამო მათ სამხედრო ჰოსპიტალში შესვლა მოახერხეს.

შემთხვევა აშშ-ის საელჩოს სიახლოვეს მოხდა.

ტერორისტების ლიკვიდაცია მალე მოხერხდა, თუმცა მანამდე მათ რამდენიმე ადამიანის მოკვლა მოასწრეს.

გარდა საავადმყოფოში შეჭრისა, მეხუთე ტერორისტმა ჰოსპიტლის შესასვლელთან თავი აიფეთქა, რასაც დაახლოებით 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მსხვერპლთა რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს. ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# საუდის არაბეთის მეფესა და მის გარემოცვას 2.500 ადამიანი დაიცავს



საუდის არაბეთის მეფე სალმანსა და მის გარემოცვას ბალიზე 2,5 ათასი პოლიციელი და სამხედრო მოსამსახურე დაიცავს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

81 წლის მონარქი, მისი 1,5 კაცისგან შემდგარი გარემოცვა, მათ შორის 25 თავადი და 10 მინისტრი, კუნძულ ბალიზე ცხრა სამგზავრო თვითმფრინავით ჩაფრინდებიან. მეფის თვითმფრინავს აეროპორტში პირადი ესკალატორი დახვდება, რომელიც დანარჩენ ბარგთან ერთად იქ ადრევე იქნა ჩატანილი.

მეფე და მისი თანმხლები პირები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდებიან, რომლის გარშემოც ორმეტრიანი ეკრანებია აღმართული, რათა სასტუმროს დამსვენებლები უცხო თვალს მოარიდონ.

ასევე დამსვენებლების უსაფრთხოების დაცვას ანტიტერორისტულ პოლიციასთან ერთად ზღვის მხრიდან ექვსი გემი უზრუნველყოფს.

# ლორდთა პალატამ ბრექსიტის კანონში შესწორებები შეიტანა



ლორდთა პალატამ ბრექსიტის შესახებ კანონში ახალი შესწორებები შეიტანა.

მთავრობამ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის კანონი პარლამენტთან უნდა შეათანხმოს.

ამრიგად, ლორდთა პალატა ბრექსიტს მწვანე შუქს არ აძლევს. კანონსაც წარმომადგენელთა პალატაში დააბრუნებენ. ახლა გადამწყვეტი სიტყვა წარმომადგენელთა პალატაზეა.

# გერმანელმა ნარკომოვაჭრემ თავი ჰიტლერის ტოსტებით გამოავლინა



გერმანიაში ნარკომოვაჭრე განსასჯელის სკამზე ადოლფ ჰიტლერის მიმართ დაინტერესების საჯაროდ გამოხატვის გამო მოხვდა.

37 წლის სვენ პოლმა ფეისბუქში თავი ტოსტებზე მესამე რეიხის ლიდერის პორტრეტების გამოსახვით მოიწონა. გარდა ამისა, მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სურათი, რომელზეც ჰიტლერი ფეხბურთის მოედანზეა გამოსახული წარწერით „საუკეთესო ბომბარდირი“.

გერმანიაში აკრძალულია ისეთი პროპაგანდული მასალების გამოქვეყნება, რომლებიც ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას უკავშირდება. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ პოლის პოსტებით სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ. პოლიციამ მისი ბინა გაჩხრიკა და იმის დამამტკიცებელ მტკიცებულებებს მიაგნო, რომლებიც მის მიერ ნარკოტიკებით ვაჭრობას ადასტურებდა.

პოლმა საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობა მას შემდეგ აღიარა, როდესაც მის წინააღმდეგ ჩვენება მისმა მეგობარმა გოგონამ მისცა. მას პატიმრობა ემუქრება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ნაციზმის პროპაგანდისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მერკელი: „თურქეთთან კონფლიქტი უნდა დამთავრდეს“



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ მიუღებელი უწოდა გერმანიის ხელისუფლების მოქმედებას თურქეთის მიმართ.

— მათ ჩვენს მინისტრებს საშუალება არ მისცეს, გერმანიის ტერიტორიაზე ერდოღანის მხარდამჭერი აქციები განეხორციელებინათ. ეს გაუგონარი რამაა! მეგობრები ასე არ იქცევიან, — ამბობს ჩავუშოღლუ.

ამავე დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ გერმანია თურქეთის სტრატეგიული პარტნიორია და კონფლიქტსაც ბოლო უნდა მოეღოს.

ამას გერმანიის კანცლერი მერკელიც დაეთანხმა.

— თურქეთთან ურთიერთობებს გერმანიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დროა, კონფლიქტი დამთავრდეს! — თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბაიერნმა არსენალი დაამცირა, რეალს ისევ რამოსმა უშველა

**ნაპოლი-რეალი 1:3**

**ნეაპოლი.** სან პაოლო

1:0 მერტენსი (24), 1:1 რამოსი (52), 1:2 მერტენსი (57ს.კ.), 1:3 მორატა (90)

**ნაპოლი:** რეინა, ჰისაი, ალბიოლი, კულიბალი, გულამი, ალანი (როგი 56), დიავარა, ჰამშიკი (ზიელინსკი 75), კალეხონი, მერტენსი, ინსინიე (მილიკი 70)

**რეალი:** ნავასი, კარვახალი, პეპე, რამოსი, მარსელო, მოდრიჩი (ისკო 80), კაზემირო, კროოსი, ბეილი (ვასკესი 68), ბენზემა (მორატა 77), რონალდუ

ნაპოლი სერიოზულად იყო განწყობილი მეოთხედფინალისთვის და მადრიდულ კლუბს პირველივე წუთებიდანვე შეუტია. შესვენებამდე ნეაპოლიტანელები გაცილებით საინტერესოდ გამოიყურებოდნენ და ნახევარი საქმეც გაკეთებული ჰქონდათ – ჩინებული კომბინაცია ჰამშიკის გამოზომილი პასის შემდეგ მერტესნმა გოლად აქცია.

რეალს მალევე შეეძლო თანაფარდობის აღდგენა, მაგრამ რონალდუს ცარიელ კარში დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. თუმცა, კარის ჩარჩო მხსნელად რეალსაც მოევლინა, როდესაც იმავე მერტენსს შეეძლო გატანა. ერთია, ტაიმის მიმდინარეობის ლოგიკურობა მერტენსის გოლი უფრო იქნებოდა...

შესვენების შემდეგ მოედანზე სხვა რეალი იყო და ტაიმის დასაწყისშივე იმუშავა მადრიდელთა იარაღმა – სტანდარტული მდგომარეობისას მეტოქის საჯარიმოში სერხიო რამოსის გამოჩენამ. კროოსის ორი ზუსტი ჩაწოდება რამოსის მიმართ და ნაპოლის იმედები წყალში ჩაიყარა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამოსის მე-2 გოლისას ბურთი გზად მერტენსს მოხვდა და ავტოგოლად ჩაითვალა.

ამის შემდეგ ორივე გუნდი მხოლოდ მატჩის დასრულებაზე ფიქრობდა, მაგრამ ერთი გოლი მაინც გავიდა და მისი ავტორი შეცვლაზე შემოსული მორატა იყო, რომელმაც ზუსტად ის ანგარიში დააფიქსირა, რაც მადრიდში...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სერხიო რამოსი

მადრიდელთა კაპიტანი აგრძელებს გუნდის ხსნას. ორჯერ ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში და 5 წუთში გააკეთა თამაში.

**არსენალი-ბაიერნი 1:5**

**ლონდონი.** ემირეითს სთედიუმი

1:0 უოლკოტი (20), 1:1 ლევანდოვსკი (55პ), 1:2 რობენი (68), 1:3 დუგლას კოშტა (78), 1:4, 1:5 ვიდალი (80, 85)

**არსენალი:** ოსპინა, ბელერინი, მუსტაფი, კოშელნი, მონრეალი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჯაკა, რემზი (კოკელნი 72), უოლკოტი, სანჩესი (პერესი 73), ჟირუ (იოზილი 72)

**ბაიერნი:** ნოიერი, რაფინია, მარტინესი, ჰუმელსი, ალაბა, ვიდალი, ჩაბი ალონსო, რობენი (დუგლას კოშტა 71), ტიაგო ალკანტარა (რენატუ სანჩესი 79), რიბერი (კიმიხი 79), ლევანდოვსკი

**გაძევება:** კოშელნი (53)

აქაც იგივე ანგარიში დაფიქსირდა – მიუნხენის ბაიერნმა ისევ დაამცირა არსენალი. ბევრს კარგად ემახსოვრება ამ გუნდების გასული წლების მერვედფინალური დაპირისპირებები, რომელიც ყოველთვის ბავარიელთა გამარჯვებით სრულდებოდა, მაგრამ ასეთი დამცირება არც ერთ მატჩში არ ყოფილა.

თვით არსენალის გულშემატკივრებს გათავისებული ჰქონდათ, რომ მიუნხენური 5:1-ის შემდეგ მეთოფეებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ მცირე იმედი ჩაესახათ. არსენ ვენგერის გუნდი უსუსურად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, შეტევაც მწვავედ გამოდიოდა და შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდნენ.

შესვენების შემდეგ კი არსენალელთა გეგმები კოშელნიმ არია: ფრანგმა საჯარიმოში ლევანდოვსკი წააქცია, მსაჯმა პენალტთან ერთად ყვითელი ბარათი უჩვენა, თუმცა შემდეგ კონსულტაციები დამატებით მსაჯთან გაიარა და ყვითელი ფერი წითლად შეცვალა. ლევანდოვსკიმ ანგარიში გაათანაბრა და აქედან დაიწყო კაცნაკლული არსენალის დამცირება.



არიან რობენმა, დუგლას კოსტამ და არტურო ვიდალიმ (ორჯერ) წინა მატჩის მსგავსი შედეგი დააფიქსირეს, ხოლო ორი შეხვედრის ჯამში 10:2 მოუგეს ლონდონელებს. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია...

არსენალმა ევროტურნირებზე ინგლისური კლუბების ანტირეკორდი დაამყარა, რომელიც მანამდე ვულვერჰემპტონს ეკუთვნოდა. 1960 წელს, ვულვზი ორმატჩიან დაპირისპირებაში ბარსელონასთან 2:9 დამარცხდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – არიენ რობენი**

კარგი მატჩი ჩაატარა ჰოლანდიელმა. როგორც ყოველთვის, ყველაზე გამორჩეული და აქტიური იყო მარჯვენა ფლანგზე. თამამად იღებდა თამაშს თავის თავზე და წნეხში ამყოფებდა მეტოქის დაცვას. ეს აქტიურობა გოლად დაუფასდა.

## შედეგები

**7 მარტი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ბაიერნი | 1:5 |
| ნაპოლი-რეალი | 1:3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-უიგანი | 0:1 |
| ბლექბერნი-კარდიფი | 1:1 |
| ბრისტოლი-ნორვიჩი | 1:1 |
| დერბი-პრესტონი | 1:1 |
| იფსვიჩი-ვულვზი | 0:0 |
| ქპრ-ბარნსლი | 2:1 |
| ნოტინგემი-ბრენტფორდი | 2:3 |
| როტერჰემი-ბრაიტონი | 0:2 |
| ფულემი-ლიდსი | 1:1 |
| ჰადერსფილდი-ასტონ ვილა | 1:0 |
| უენსდი-ბარტონი | 1:1 |
| რედინგი-ნიუკასლი | 0:0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# საქართველოს თასის წილისყრა გაიმართა



საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშება შესარჩევი ეტაპით დაიწყო, რომელშიც ქვედალიგელი გუნდები მონაწილეობდნენ. შესარჩევი ეტაპი ჯერ კიდევ დასრულების სტადიაზეა, მეთექვსმეტედფინალიდან კი საქმეში ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის გუნდები ჩაერთვებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე გაიმართა მეთექსმეტედფინალური ეტაპის წილისყრა, რომლის შედეგად გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**კოლხეთი (ფ) – დინამო (ბთ)**
**ზუგდიდი – ცხინვალი; შევარდენი 1906/ბეთლემი – საბურთალო**
**სამეგრელო/მარგვეთი 2006 – გურია**
**საპოვნელა/მარკ სტარსი – ტორპედო**
**ლესიჭინე 2016/დინამო (ს) – ჩიხურა**
**ლოკომოტივი 2/ალგეთი – დინამო (თბ)**
**ვიტ ჯორჯია – სამტრედია**
**სამგურალი 2/ – კოლხი-დილა**
**გარეჯი/საბურთალო 2 – კოლხეთი (ხ)/იმერეთი**
**გაგრა – მეშახტე**
**რუსთავი – მერანი**
**ლიახვი/სქური – სიონი**
**ვარკეთილი/გორი – შუქურა**
**გარდაბანი/ნორჩი დინამო – ლოკომოტივი**
**ჭიათურა/თელავი – სამგურალი.**

მერვედფინალისტები ერთმატჩიან დაპირისპირებაში გამოვლინდებიან, მატჩები 15 მარტს გაიმართება და მათ პირველად დასახელებული გუნდები უმასპინძლებენ.

# რატომ გადაწყვიტა პროფესიით მსახიობმა ყვავილების ბიზნესში წასვლა?



25 წლის ყვავილების გამყიდველი თამუნა ცაგურიშვილი სამსახიობო კარიერაზე ოცნებობდა, თუმცა თეატრალური უნივერსიტეტი უსახსრობის გამო ძალიან რთულ პირობებში დაამთავრა და ახლა იმისათვის, რომ თავი ირჩინოს, კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილებს ყიდის. ამბობს, რომ სამუშაო დღე რთულია, განსაკუთრებით ცივ ამინდში, რადგან თავის შესაფარებელი ადგილი არ აქვს. უწევს ყველანაირი ხასიათის ადამიანთან ურთიერთობა და მიუხედავად ამ პრობლემებისა, მაინც ოპტიმისტ ადამიანად რჩება.

ახალგაზრდა მეყვავილე თვლის, რომ ქვეყანაში ბევრი რამაა შესაცვლელი და აქ თავის რჩენა რთულია. თამუნა ცაგურიშვილს საქართველოში დარჩენა არ სურს და უახლოეს მომავალში უცხოეთში წასვლას აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ იქიდან ოჯახს ფინანსურად უკეთესად დაეხმარება.

***– თამუნა, როგორ იწყება თქვენთვის ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე. რომელ საათზე იწყებთ და ასრულებთ ყვავილების გაყიდვას?***

– დილის შვიდ საათზე ვდგები, ვემზადები და მოვდივარ კოლმეურნეობის მოედანზე ჩემი ყვავილების დახლთან. შემდგომ აქედან მივდივარ ბაზარში, საიდანაც ახალი ყვავილები მომაქვს. მე მინდვრის ყვავილებს ვყიდი. ყვავილს თავისებური მოვლა სჭირდება. ფერებს ერთმანეთს ვუხამებ, კონებად ვკრავ და ვფუთავ. ასე ვიღებ გამზადებული ყვავილის საბოლოო სახეს – თაიგულს. სამუშაო დღეს ხან 10 საათზე, ზოგჯერ კი 11-ზე ვასრულებ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც უფრო გვიანაც დამისრულებია ყვავილების გაყიდვის პროცესი.

***– რთულია ცივ ამინდში გარეთ დგომა და მუშაობა, გარდა ამისა, ალბათ, მთელი დღის მანძილზე სხვა პრობლემებიც იჩენს თავს. რა სახის სირთულეებს აწყდებით დღის განმავლობაში?***

– გარეთ ცივა და ამ პირობებში მუშაობა რთულია. აქ ყოფნა ძნელია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც კოლმეურნეობის მოედანზე ყიდის ყვავილებს. განსაკუთრებით ამ საკითხის სირთულე ზამთრის პერიოდში იგრძნობა, რადგან თავს ვერსად ვერ ვაფარებ. იმის გამო, რომ თავი ვირჩინო და ყოველდღიური ლუკმაპური მქონდეს, ასეთ პირობებში ყოფნა მიწევს. ასევე არა მარტო ჩემთვის, არამედ აქ მდგომი ყველა მეყვავილისთვის პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ თუ გზის სავალ ნაწილზე გადავალთ, პოლიცია მაშინვე მოდის და გვაკონტროლებს, არ დამორჩილების შემთხვევაში ყვავილებს საერთოდ გვალაგებინებს ადგილიდან. ამის გამო აქ სკანდალები ხშირადაა.

***– ყვავილების გაყიდვიდან რამდენია თქვენი შემოსავალი და როგორ ანაწილებ ამ თანხას?***

– ყვავილი ძალიან დიდ მოგებას ტოვებს, თუმცა არის ისეთი დღეები როდესაც გაყიდვები საერთოდ არაა. ძირითადად შემოსული თანხის რეინვესტირებას ისევ ბიზნესში ვახდენთ. მსურს, რომ მეტი ყვავილი მქონდეს და ბიზნესიც მეტად გაფართოვდეს. როდესაც ყვავილს ვერ ვყიდი, სახლში არაფერი მიმაქვს და შინ მეორე დღის იმედით ვბრუნდები. ყვავილების გაყიდვით დღეში 80-100 ლარის მოგებაც მქონია, ყოფილა დღეები, როდესაც აქედან სახლში მხოლოდ მეორე დღეს უკან დასაბრუნებელი გზის ფული მიმაქვს.

ფასზე შევაჭრებისგან ძალიან შორს ვარ. არიან გამყიდველები, რომლებიც ყვავილების შეკვრით მისდევენ ადამიანებს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც 15 ლარიანი შეკვრა თავის ფასში 12 ლარად გამიყიდია და მოგებაც დამიკარგავს. საყიდლებზე ძირითადად ჰიპერმარკეტსა ან სუპერმარკეტში მივდივარ. თუ თანხა მაქვს, მისი დახარჯვა არ მენანება.

***– ალბათ, არის დღეები, როდესაც განსაკუთრებით ბევრი ყვავილი იყიდება, გვითხარით, რომელია ასეთი დღეები? ასევე საინტერესოა, ლარის კურსის გაუფასურება ყვავილების ბიზნესს რამდენად შეეხო?***

– დღესასწაულებზე ყვავილები ყოველთვის კარგად იყიდება. 3 მარტს ფასები მომატებული იყო, ასევე – 8 მარტს. ყვავილი ამ დროს ისედაც ძვირდება და, შესაბამისად, ჩვენც ვაძვირებთ. ჩემი ყვავილები ძირითადად 50 თეთრით ძვირდება. 3-4 დღის შემდგომ კი ფასებიც დაიწევს. ფასის ზრდა ასევე დამოკიდებულია უცხოეთიდან შემოტანილ ყვავილზე. თუმცა ზოგადად ლარის კურსის გაუფასურება ყვავილის ფასზე არ მოქმედებს

***– საუბრის ბოლოს აუცილებლად უნდა გკითხოთ მთავრობის გუნდის მუშაობაზე. გაგიმართლდათ ის იმედები, რაც „ქართული ოცნების“ მოსვლამდე გქონდათ?***

– გეტყვით, რომ ოცნება ოცნებად დარჩა. წინა ხელისუფლების დროს ნაკლებად მქონდა ქუჩაში გამოსვლის შიში. ღამე გამოსვლის არ მეშინოდა და თავს დაცულად ვგრძნობდი. ბოლო დროს თავზეხელაღებული ადამიანები მომრავლდნენ. დღეს უფრო მეტი გაჭირვებული ადამიანია, ვიდრე ეს წარსულში იყო.

ზოგიერთ მათგანს თვიდან თვემდე თავის რჩენის საშუალება არ აქვს. ჩვენ ქვეყანაში ადამიანს ყველაფრის უნდა ეშინოდეს. ელემენტარულად არაა პირობები, რომ შენ ქვეყანაში გაჩერდე. დღეს ხალხს მუშაობა უნდა და სახელმწიფოში ამისთვის პირობები არაა შექმნილი. რა პირობებიცაა, იმით ადამიანმა თავი როგორ უნდა ირჩინოს, არ მესმის. საჭიროა ისეთი სამუშაო ადგილების შექმნა, სადაც ნორმალური ანაზღაურება და პირობები იქნება.

უცხოეთში წასვლა მინდა, რადგან ვთვლი, რომ იქ უფრო მეტი გასაქანია. იქიდან შევძლებ, რომ ოჯახს დავეხმარო და ხელი გავუწოდო. იმაზე არ ვიდარდებ, რომ საჭმლისა და წამლის ფული არ აქვთ.

**კომერსანტი.გე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# საჭიროა თუ არა გლანდები

ეკა ირემაშვილი

**ტონზილიტი ე.წ. გლანდები ყელის უკანა კედელზე არსებული ორი ნუშურა ჯირკვლის სახელწოდებაა.**

ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ იმუნურ სისტემაში, გამოიმუშავებენ ინფექციის საწინააღმდეგო ანტისხეულებს და ნებისმიერი ინფექციისთვის პირველ ბარიერს ქმნიან.

არცთუ ისე იშვიათად გლანდები ინფიცირდება ბაქტერიით ან ვირუსით, რასაც მოსდევს შეშუპება და იწყება ანთებითი პროცესი. ამ დაავადებას ტონზილიტი ეწოდება. ტონზილიტის გამომწვევი ვირუსის ან ბაქტერიის გადაცემა ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით, კოცნით ან ინფიცირებული ხელის სახესთან მიტანით.

ტონზილიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია ყელის ტკივილი – განსაკუთრებით მტკივნეული ყლაპვისას, გლანდების სიწითლე და შეშუპება, ნუშურა ჯირკვლებზე თეთრი ან მოყვითალო ფერის ნადები, ბუშტუკების წარმოქმნა, რომლებიც მტკივნეულია, ხმის ჩახლეჩა ან დაკარგვა, თავის ტკივილი, მადის დაქვეითება, ცხელება, გამონაყარი, ყურის ტკივილი, კისრის კუნთების დაჭიმულობა, კისრის ან ქვედა ყბის მიდამოზე ჯირკვლების გადიდება, პირიდან უსიამოვნო სუნი. ბავშვებში ხშირად ზემოთ ჩამოთვლილ სიმპტომებს თან ერთვის გულისრევის შეგრძნება, ღებინება და მუცლის ტკივილიც.

სტრეპტოკოკული ბაქტერიით გამოწვეული ტონზილიტი შეიძლება გართულდეს რევმატიული ცხელებით, თირკმლის დაავადებით და მწვავე მონონუკლეოზით.



ბერდია ბერიძე

ამიტომ ექიმები გვირჩევენ, რომ დაავადების დასაწყისშივე მივმართოთ სპეციალისტს.

რისთვის არის საჭირო გლანდები ადამიანისთვის, რა შემთხვევაში ხდება მათი მოშორება აუცილებელი და რომელი მეთოდია ყველაზე ეფექტური გლანდების ამოსაჭრელად, ამ ყველაზე აქტუალურ და საინტერესო თემებზე „ნიუ ჰოსპიტალსის“ ოტორინო-ლარინგოლოგიის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ბერდია ბერიძე საუბრობს.

**ბერდია ბერიძე:**

– ტონზილები ანუ გლანდები წარმოადგენენ ფილტრს, რომლის საშუალებითაც ხდება შესუნთქული ჰაერის გაფილტვრა, გლანდები ასევე აკავებენ საჭმლის ნარჩენებს, ბაქტერიებს, ვირუსებს და მკვდარ ეპითელუმს.

***– რა შემთხვევაში ხდება საჭირო მათი მოშორება?***

– იმ შემთხვევაში, თუ გლანდები ვერ ასრულებენ საკუთარ ფუნქციას, საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა.

გლანდების ფუნქციის დაქვეითება გამოწვეულია ხშირი ანთებით. ფუნქციადაკარგული გლანდები იწყებენ ორგანიზმის „მოწამვლას“, რაც გამოიხატება სახსრების ტკივილით, გულისა და თირკმლების პრობლემებით.

***– რომელი მეთოდია ყველაზე ეფექტური?***

– გლანდების ამოკვეთის ანუ ტონზილექტომიის რამდენიმე ძირითადი მეთოდი არსებობს. ბოლო წლების სტატისტიკამ აჩვენა, რომ ყველაზე დახვეწილი დიოდის ლაზერით ჩატარებული ტონზილექტომიაა, რადგან ამ ლაზერის დამსახურებით პოსტოპერაციული გართულებები მინიმუმამდეა დაყვანილი.

## კალეიდოსკოპი

### კენიაში ბრაკონიერებმა გიგანტურეშვებიანი სპილო მოკლეს



კენიელმა ბრაკონიერებმა მოკლეს ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი და დიდი აფრიკული სპილო, სახელად სატაო II. ამ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემები ავრცელებენ.

ცხოველის გვამი კენიის სამხრეთ ნაწილში მდებარე ეროვნული პარკის ცავოს ტერიტორიის ჰაერიდან დათვალიერების დროს შენიშნეს. სპილო მოწამლული ისრის გამოყენებით იქნა მოკლული. ორი ბრაკონიერი, რომლებიც მის სიკვდილში არიან დამნაშავეები, იპოვეს და დააკავეს.

სატაო II დაახლოებით 50 წლის იყო.

– მან არაერთი გვალვა გადაიტანა და, სავარაუდოდ, ბრაკონიერების თავდასხმებიც, – აღნიშნა ერთ-ერთი არაკომერციული ორგანიზაციის წარმომადგენელმა რიჩარდ მოლერმა.

სატაო II გამორჩეული იყო უზარმაზარი ეშვებით, რომელთა სიგრძე თითქმის მიწამდე აღწევდა. თითოეული მათგანის წონა 50 კილოგრამს აღემატებოდა. მსოფლიოში სულ 25-მდე სპილოა დარჩენილი, რომლებსაც ასეთი გრძელი ეშვები აქვთ. მათგან 15 სწორედ კენიის ბინადარია.

ცხოველს სახელი, სხვა ცნობილი დიდი სპილოს სატაოს პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც ბრაკონიერებმა 2014 წელს მოკლეს.

### ამერიკელი პენსიონერის ცეკვა პოპულარობას იხვეჭს



აშშ-ში ვიდეოზე გადაიღეს ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც საკმაოდ მხნედ ასრულებდა ცეკვას რესტორნის კუთვნილ ავტოსადგომზე. აღნიშნული ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უცნობი პენსიონერი ქალბატონი რესტორნების ქსელ Waffle House-ს ერთ-ერთი დაწესებულების მახლობლად ცეკვავდა. ვიდეორგოლი სამი დღის წინ გამოქვეყნდა და ამ დროის განმავლობაში თითქმის 17 ათასამდე ნახვა მოაგროვა.

### ორი წლის გველების მოყვარულმა ავსტრალიელმა ინტერნეტში სახელი გაითქვა

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტში მცხოვრები ორი წლის ბიჭუნა სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ინტერნეტში. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც მისმა მშობლებმა გამოაქვეყნეს ფოტოსურათები, რომლებზეც ის გველებთან და სხვადასხვა რეპტილიებთან ერთადაა აღბეჭდილი.

ტონი და ბრუკ ჰარისონები გველებზე პროფესიონალი მონადირეები არიან. ავსტრალიელებმა, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს სამსახურს უთმობენ და რეგულარული კონტრაქტი აქვთ რეპტილიებთან, თავიანთ საქმიანობას შვილი ჯენსონიც აზიარეს. ბავშვი მშვიდად რეაგირებს ცხოველებზე და შეუძლია ნებისმიერი გველის მიმართ შესაბამის მიდგომას მიაგნოს.



ოჯახურმა წყვილმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში შექმნა გვერდი, რომელშიც აქვეყნებენ თავიანთი შვილისა და სხვადასხვა რეპტილიების სურათებსა და ვიდეოჩანაწერებს. ჯენსონს სურათები გადაღებული აქვს როგორც მომცრო ზომის გველებთან, ისე მსხვილ პითონებთანაც. გვერდს ინსტაგრამში თითქმის ორი ათასი ხელმომწერი ჰყავს.

### ლუქსემბურგში ძაღლმა მატარებელში 286 ათასი ევრო აღმოაჩინა



ლუქსემბურგში სამსახურის ძაღლმა, სახელად კეშმა, მატარებელში დამალული 268 ათასი ევრო იპოვა.

შემოწმება ნარკოტიკებთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდებოდა. ძაღლმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ორ უცნობ პირთან მიიყვანა. მათ ჰქონდათ 50 ათასი ევრო, ხოლო დანარჩენი თანხა ბარგში ჰქონდათ შენახული. ორივე მამაკაცი დააკავეს, ხოლო ფულის კონფისკაცია განხორციელდა.

ქვეყნის კანონების შესაბამისად, დაკავებულებს თანხის, რომლის ოდენობა 10 ათას ევროს აღემატებოდა, დეკლარირება უნდა მოეხდინათ. ჯერჯერობით უცნობია ფულის წარმომავლობა და თუ სად მიჰქონდათ ის.

### ტაილანდში კუს მუცლიდან ხუთი კილოგრამი მონეტა ამოუღეს

ბანგკოკში ჩულალონგკორიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის კათედრის თანამშრომლებმა კუს მუცლიდან, რომელსაც ყულაბა შეარქვეს, ხუთი კილოგრამი მონეტა ამოიღეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 წლის მდედრი ზღვის კუს მუცელში 915 ცალი მონეტა აღმოჩნდა. ოპერაცია ოთხი საათი გრძელდებოდა.

– ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ მოახერხა მან ამ რაოდენობის მონეტების გადაყლაპვა, – განაცხადა ვეტერინარმა პასაკორნ ბრიკსვანამ. მისივე აღიარებით, ეს პირველი ასეთი შემთხვევაა მის პრაქტიკაში.

ცხოველი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ერთი კვირა დარჩება, რის შემდეგაც ისევ ზოოპარკს დაუბრუნებენ.

ბევრი ტურისტი, ცრურწმენის თანახმად, მონეტებს კუების აუზში იმისთვის ყრის, რომ მომავალში ტაილანდში ისევ დაბრუნდნენ, ადგილობრივებს კი სწამთ, რომ ფულის ამ ცხოველების აუზში ჩაგდება მათ დღეგრძელობას მოუტანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 9 მარტისათვის



**ვერძი** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. **კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი ბუნების წიაღში გაატარეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და სულიერი ძალები აღიდგინოთ. საღამო ოჯახის წევრებს მიუძღვენით. **ლომი** – ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. პრიორიტეტი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მიანიჭეთ. **ქალწული** – იყავით დამთმობი. თხოვნაზე უარს, შეძლებისდაგვარად, ნურავის ეტყვით. **სასწორი** – დაუფიქრებლობა და აჩქარება ფინანსურად დაგაზარალებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **ღრიანკალი** – წარმატების გასაღები საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში დევს. დაეხმარეთ ადამიანებს. **მშვილდოსანი** – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სულაც დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – ნებისმიერი საქმე დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 3. ნავთობის საბადო კახეთში; 4. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 6. ველური ვარდი; 8. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. ექსპერტთა კომისია; 15. კათოლიკეთა რელიგიური ცენტრი; 16. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 21. სამეჯლისო ცეკვა; 22. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. წიგნის, სტატიის მოკლე განმარტებითი შეფასებითი შინაარსი; 5. ყურანის თითოეული თავი; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. დიდი, მდიდრული ოფისი, ბინა; 10. გემის სამზარეულო; 12. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 16. უბანი თბილისში; 17. შინაური ცხოველი; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 20. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 22. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება; 23. სამრეწველო საწარმო; 24. რაიმეს შუაგული; 25. მთავარი ქუჩა ტოკიოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სკანსენი; 2. „ადიდასი“; 3. პიერო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. „ზარზუელა“; 11. ექსტრაქცია; 12. ანანასი; 15. ცურტაველი; 16. „ჰაიატი“; 17. დუმფარა; 20. ვაშლი.

**თარაზულად**: 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9. თეზისი; 13. სოია; 14. ოქსინო; 18. ინტერპოლი; 19. ტუაზი; 21. გაუდა; 22. დიქცია; 23. მადრიგალი; 24. საინგილო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 2. ფუტკარი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. ჯოისი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. „ალადასტური“; 15. როლგანგი; 16. პოლინეზია; 17. „სამაია“; 19. გალუაზი; 21. ხარკი; 22. „ბრაგა“.

**თარაზულად**: 1. „იფიგენია“; 5. ჯინი; 7. „გოპაკი“; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სენა; 18. აგუნა; 20. პლასტიკა; 22. ბონდი; 23. „პუბლიკა“; 24. ზეკარი; 25. კევრი.

# „მოვიდა ის დრო, რომ გითხრათ, ნუ გვკლავთ!“



ბოლნისის რაიონის მოსახლეობა კომპანია არემჯი გოლდს უპირისპირდება. ვანო ერისთავი კი მოსახლეობის სახელით ღია წერილს ავრცელებს:

– მივმართავ კომპანია არემჯის! დიდი ხანია ბოლნისის რაიონის მოსახლეობა ითმენს თქვენი, კომპანიის გაუმართლებელ საქციელს, რაც გულისხმობს სამთო მადნის კარიერის აფეთქების შედეგად ჰაერში გაბნეული მძიმე მეტალებით ჰაერის დაბინძურებას, რაც იწვევს სიმსივნურ და მასთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელებას.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია მსხვილი დამბინძურებლების შესახებ, ესენია: 1. არემჯი, 2. ჯორჯიან მანგანეზი, 3. საქნახშირი და 4. ჰაიდელბერგცემენტი.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ კეთილი ინებონ კომპანია არემჯის მესაკუთრეებმა და გამოყონ საქველმოქმედო სარეზერვო ფონდი, რომელიც დაეხმარება ბოლნისის რაიონში მათივე მოწამლულ ხალხს და დაუფინანსებს მკურნალობის, ოპერაციის და ყველანაირ ხარჯებს.

მე არ ვგულისხმობ კონკრეტულ ადამიანებს, არ აქვს მნიშვნელობა ეს ვინ იქნება, ხვალ შემდეგი შეიძლება შენ იყო. თუ ვერ გაფიქრდებათ ეს რა ხერხით უნდა მოხდეს, მზად ვართ, რომ წარგიდგინოთ გეგმა, რომელიც ეფუძნება ქველმოქმედებას და თქვენს ვალდებულებას.

ალბათ იცით, რომ ეს უბრალო დამთხვევა არ არის, ბოლნისის რაიონში ძალიან გავრცელებულია სიმსივნური დაავადებები, ანემია, ლეიკემია და ა.შ. მოვიდა ის დრო, რომ გითხრათ, ნუ გვკლავთ! გვაცოცხლეთ, გვასუნთქეთ, ღმერთის ნაბოძებ სიცოცხლეს თქვენ ნუ გვართმევთ! არავის სჭირდება თქვენი 5 მილიონიანი მუზეუმი, თუ სიცოცხლე წაგვართვით.

თუ ჩვენი მოთხოვნა არ იქნება გათვალისწინებული, მივმართავთ სხვა ხერხს!

## სკარლეტ იოჰანსონი ქმარს შორდება



ამერიკელი მსახიობი სკარლეტ იოჰანსონი თავის მეუღლეს ფრანგული წარმოშობის ჟურნალისტ რომენ დორიაკს შორდება. მას მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობმა ნიუ-იორკის შტატის უზენაეს სასამართლოში შეიტანა საბუთები და იქვე აღნიშნა, რომ მისი ქორწინება „უიმედოდ დაინგრა“.

აღსანიშნავია, მსახიობი ცდილობს მიაღწიოს, რომ თავისი სამი წლის გოგონა როუზ დოროთი დორიაკზე ზრუნვა მთლიანად მას დაეკისროს. ამავე დროს ადვოკატმა ჰაროლდ მაიერსონმა, რომელიც დორიაკის ინტერესებს წარმოადგენს, განაცხადა, რომ მისი კლიენტიც ზუსტად იგივეს გაკეთებას აპირებს.

– ის საფრანგეთში დაბრუნებას შვილთან ერთად გეგმავს, ხოლო როგორც მოგეხსენებათ, მისის იოჰანსონი ბევრს მოგზაურობს, – განაცხადა ადვოკატმა. მან ასევე აღნიშნა, რომ განქორწინების პროცესი სავარაუდოდ მეტად საინტერესო იქნება.

შეგახსენებთ, რომ იოჰანსონისა და დორიაკის დაშორების თაობაზე ინფორმაცია მას მედიაში ჯერ კიდევ იანვარში გავრცელდა.

## სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი უახლოესი მეგობრები დიდი გულისტკივილით იუწყებიან პოლიციის ვეტერანი პოლკოვნიკის, ლელო ბურთში სპორტის ოსტატის, აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის, კოლორიტული პიროვნების, ბატონი

**ტარიელ ხვისტანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

რუსთაველური სტრიქონ-დითირამბი – „მაღალი, უხვი, მდაბალი“... ტარიელ ხვისტანის ფიზიკური სრულყოფილებისა და სულიერი სამყაროს მაგალითად მიგვაჩნდა მის უახლოეს მეგობრებს.

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული, ამინ!

*ნაპო მესხია, გოგი მესხია, რაჟდენ ქარდავა, ნაპოლეონ კონჯარია, ანზორ მარკელია, ჯემალ გაბელია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# დიმიტრი ჯაიანმა აფხაზეთის კაპელადან 11 თანამშრომელი გაუშვა



აფხაზეთის კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა აფხაზეთის კაპელადან 11 თანამშრომელი გაათავისუფლა.

ინფორმაცია ამის შესახებ კაპელადან გაშვებულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ირაკლი მუჯირმა გაავრცელა:

– გუშინ აფხაზეთის კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა 11 თანამშრომელი გაგვიშვა სამსახურიდან.

მიზეზი სხვა სამსახურში მუშაობაა! ზოგიერთი 12 წელია ასეთი გრაფიკით მუშაობს დღემდე.

მაგრამ რეალური მიზეზი ისაა, რომ კაპელას, რომელმაც არაერთ ქვეყანაში არაერთხელ ასახელა ქვეყანა და აფხაზეთი, სოხუმი, ასეთ კაპელას 400 ლარზე ემათხოვრება აფხაზეთის სამინისტრო.

11 ადამიანი ისე გაგვაგდეს, არც კი გვითხრეს არაფერი...

კიდევ რამდენის დაწერა მინდა, მაგრამ...

# ნინო ქათამაძე ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალებისთვის იმღერებს



მომღერალ ნინო ქათამაძისთვის ქველმოქმედება უცხო ხილი არ არის. ის ხშირად მართავს კონცერტებს სხვადასხვა დაავადებასთან მებრძოლი ადამიანების დასახმარებლად.

10 მარტს ნინო ქათამაძე ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალებისთვის იმღერებს. თბილისის საკონცერტო დარბაზში მისი ახალი ალბომის „ყვითელის“ პრეზენტაცია გაიმართება.

გასულ წლებში ნინო ქათამაძემ არაერთი საქველმოქმედო კონცერტი გამართა ფონდ „იავნანას“ ეგიდით, მოხუცთა თავშესაფარსაც დაეხმარა. წინა კონცერტით ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობას გაუმართა ხელი და 10 მარტს კი თბილისის საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ საღამოს ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების მხარდასაჭერად ჩაატარებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### კალეიდოსკოპი

## იტალიელმა საკუთარი თირკმელი შეყვარებულს გადაუნერგა



ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტის წინა დღეს, 48 წლის იტალიელ ქალბატონს თირკმელი გადაუნერგეს, რომელიც მის 52 წლის პარტნიორს ეკუთვნოდა.

ქალი სერიოზული გენეტიკური ავადმყოფობით, თირკმლის პოლიკისტოზით იყო დაავადებული, რომლის მოგვიანებითი სტადიის დროს თირკმლის უკმარისობა ვითარდება. დონორის ორგანოს მოძიებისთვის სპეციალისტებს რამდენიმე თვე ჰქონდათ. ამის შემდეგ მას დიალიზი დასჭირდებოდა (სპეციალური აპარატის დახმარებით სისხლის გაწმენდა).

დონორის მოძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. ამის შემდეგ ქალის შეყვარებულმა გადაწყვიტა, მისთვის საკუთარი თირკმელი გადაენერგა. ამან საშუალება მისცა ექიმებს, დიალიზზე უარი ეთქვათ, რომელსაც, მათი აზრით, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა პაციენტის ცხოვრების ხანგრძლივობასა და ხარისხზე.

თირკმლის გადანერგვის ოპერაცია ტურინის საავადმყოფოში განხორციელდა. რვა მარტს შეყვარებულები საავადმყოფოს პალატაში ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ შეხვდნენ. საავადმყოფოს თანამშრომლებმა მამაკაცის საქციელს დიდი სიყვარულის გამოხატულება უწოდეს.

## სალვადორ დალის დის პორტრეტი 2 მილიონად გაიყიდა



სალვადორ დალის სურათი „ფიგურა პროფილში“ ლონდონის აუქციონზე თითქმის 2 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

სურათზე, რომელიც 1925 წელს არის შექმნილი, მხატვარის და ანა მარიაა გამოსახული. დალიმ მას ეს ნამუშევარი მანამდე აჩუქა, სანამ მათი ურთიერთობა გაფუჭდებოდა. 1942 წელს სიურეალისტმა მხატვარმა გამოუშვა ავტობიოგრაფია, რომელიც მის დას არ მოეწონა და მან 1949 წელს საკუთარი მემუარები გამოსცა.

შემდგომში ანა მარიამ საკუთარი პორტრეტი ლოტის ამჟამინდელ მფლობელებს აჩუქა.

სურათი 800 ათასიდან 1,2 მილიონ ფუნტამდე იყო შეფასებული. მისმა საბოლოო ფასმა 1,8 მილიონი ფუნტი შეადგინა.

როგორც აუქციონის სახლში აღნიშნეს, ადრე ეს სურათი აუქციონზე გასაყიდად არასოდეს ყოფილა გამოტანილი.

## გიოტებორგი გაცნობისთვის საუკეთესო ქალაქად აღიარეს



შვედეთის ქალაქი გიოტებორგი ახალი ადამიანების გაცნობისთვის საუკეთესო ქალაქად იქნა აღიარებული. ეს ყოველივე კი კვლევების შედეგად დადგინდა, რომლებიც 28 ქვეყანაში ჩატარდა და მასში 12 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

სიაში მეორე ადგილზე კიდევ ერთი შვედური ქალაქი სტოკჰოლმი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი აშშ-ის ქალაქ ჩიკაგოს ერგო.

შემდეგ სიაში მოდიან ბოსტონი და ნიუ იორკი (ორივე აშშ-ი), კოპენჰაგენი (დანია), მადრიდი (ესპანეთი), რომი (იტალია), ჰამბურგი (გერმანია) და დუბლინი (ირლანდია).

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 9 მარტი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი – დიდი ბრიტანეთი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 02.30** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**წითელი დრაკონი**" (ე.ნორტონი)

**08.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **09.00** დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მტირალა ბავშვი**" (მ.ჰემინგუეი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**გენერლის ქალიშვილი**" **02.05** მხ/ფ "**კლასელები იტალიურად**" **03.55** მხ/ფ "**სიყვარულის სახელმძღვანელო**"

**06.00** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00 23.30** P.S.

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00**სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** მხ/ფ "**გამოსაშვები საღამო**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" **00.00** 18+ **01.00** მხ/ფ "**გადამწყვეტი მატჩი**" **03.05** მხ/ფ "**იდალგო**"

**06.15** სჯანი-"თეოსოფია, ანთროპოსოფია" **06.40** პატერიკი **06.45** დ/ფ "გზა" I სერ. **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **1** ნაწ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** თბილისის ტაძრები "ქვაშვეთი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "თბილისის თავგადასავალი" **16.00** ქრისტიანული ხელოვნება-"ქვაშვეთის ტაძრის მოხატულობა" **16.45** დ/ფ "**9** მარტი, **1956** წელი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "თხა და ვენახი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი-შალვა ამირანაშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო...მოსე IV ნაწ. "სჯულის კანონი" **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ხახულის ტაძარი" **00.30** დ/ფ "გზა" II სერ. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 1.30** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**პაემანი**" **1.00** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

9 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4596 |
| ევრო | 2.6003 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.9990 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2386 |

**ამინდის პროგნოზი 9 მარტისთვის**





## 10 მარტიდან

120 ამბავი
**ალექსანდრე მაკედონელი**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 3 მარტიდან

გია ბულაძე
**200 ამბავი მხატვრობაზე**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




## 1 მარტიდან

რეზო თაბუკაშვილი
**13 დღე**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი





## იუმორი



ქალების სამი ტიპი არსებობს: ძვირფასები, ძალიან ძვირფასები და მეტისმეტად ძვირფასები.

ძვირფასი ქალები – ისინი ერთჯერადი გამოყენების ქალები არიან;

ძალიან ძვირფასები – დედები, დები, ქალიშვილები, მოსიყვარულე მეუღლეები;

მეტისმეტად ძვირფასები – ქალები, რომლებიც თქვენს სრულყოფას ცდილობენ.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეძახის:

– სასწრაფოდ დახმარება გვჭირდება.

– რა ხდება?

– თალიკო ბებია ცუდადაა და თქვენ ხომ პროფესორი ხართ?!

– კი მაგრამ, მე არქეოლოგიის პროფესორი ვარ.

– არც ბებია თალიკოა 18 წლის...

●●●

თვითმფრინავში ერთ-ერთი მგზავრი თავს ცუდად გრძნობს და იძახის:

– ვაიმე, ცუდად ვარ, ახლა გული ამერევა.

მეზობლად მჯდომი ეუბნება:

– თქვენ თავს ზემოთ ღილაკს დააჭირეთ თითი!

– დავაჭირე. მერე?

– ახლა ბორტგამცილებელ გოგონასთან სინათლე აინთო.

– შენი დედაც... მე ცუდად ვარ, გული მერევა! იმ შობელძაღლს, რა, არ შეუძლია თვითონ აინთოს სინათლე?!

●●●

ერთი მეზობელი ქალი მეორეს ეკითხება:

– ფანჯარაზე ამდენი კაქტუსები რომ გიდგას ქოთნით, ალბათ იმისთვისაა, რომ მამაკაცები ვერ შემოძვრნენ, ხო?

– არა, ფანჯრიდან, რომ ვერ გამექცნენ...

●●●

გთავაზობთ ქალების სადღეგრძელოს, ჩვენი ქალების! არა იმ საზღვარგარეთელი ქალების, რომლებიც სვამენ, ეწევიან, მეუღლეებს ღალატობენ, არამედ ჩვენი ქალების, რომლებიც ამ ყველაფერთან ერთად მუშაობენ კიდევაც!

●●●

ქმარს ცოლი ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– მანქანას რა უქენი, შე ძუკნავ?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## ვიქტორ ჰიუგო
# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |


## ზლატანმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო



ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მანჩესტერ იუნაიტედის შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მკაცრად დასაჯა. ზლატანი სამ შეხვედრას გამოტოვებს.

დისკვალიფიკაციის მიზეზი ბორნმუტთან შეხვედრის დროს ბორნმუტის მცველ ტაირონ მინგსთან მომხდარი ინციდენტია, რომლის დროსაც იბრამ მეტოქეს იდაყვი ჩაარტყა. მინგსი ამ ეპიზოდამდე უხეშად ეთამაშა ზლატანს და, სავარაუდოდ, მას ასევე მკაცრად დასჯის სადისციპლინო კომიტეტი.

იბრაჰიმოვიჩმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მას მეტოქისთვის იდაყვი ძალით არ ჩაურტყამს და ეს მხოლოდ სათამაშო ეპიზოდი იყო.

## არსენალის ფანები ვენგერის გაშვებას ითხოვენ



ლონდონის არსენალმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ბაიერნთან ორი მატჩის ჯამში 2:10 წააგო და მთელი მსოფლიოს წინაშე თავი შეირცხვინა.

ამ მატჩის შემდეგ ლონდონში სერიოზულად ალაპარაკდნენ ვენგერის წასვლაზე. არსენალის გულშემატკივრებმა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციაც გამართეს, რომელშიც ვენგერის წასვლას ითხოვდნენ.

გარდა ამისა, არსენს გუნდის ლიდერებთან ალექსის სანჩესთან და მესუთ ოზილთანაც აქვს უთანხმოება, ამიტომ, სავარაუდოდ, ზაფხულში არსენალს ახალი მწვრთნელი ეყოლება.

თვითონ ვენგერმა განაცხადა, რომ მას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება თავის მომავალთან დაკავშირებით.

## ჟოზე მოურინიომ როსტოვში მოედნის საფარი გააკრიტიკა



ხუთშაბათს, მანჩესტერ იუნაიტედი სტუმრად ევროპის ლიგის მერვედფინალში რუსულ გუნდს როსტოვს დაუპირისპირდება. პირველი შეხვედრა რუსეთში ჩატარდება და მოურინიომ მატჩის მოედნის საფარი გააკრიტიკა და თქვა, რომ ასეთ მინდორზე თამაში ძალიან რთული იქნება.

– ასეთ მინდორზე თამაში თითქმის შეუძლებელია, მაგრამ რას ვიზამთ, წესებს უნდა დავემორჩილოთ. როსტოვი ძლიერი გუნდია, რომელსაც კარგი დაცვა ჰყავს და მათ კონტრშეტევებზეც გამოსდით თამაში. ვფიქრობ ფრე ნორმალური შედეგი იქნება, – განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

შეხვედრა თბილისის დროით 22.00 საათზე დაიწყება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლევან მჭედლიძეს ტრავმა გაურთულდა



ემპოლის ქართველ ფორვარდს ლევან მჭედლიძეს ტრავმა გაურთულდა. ლევანს 5 თებერვლის შემდეგ არ უთამაშია და თავიდან ვარაუდობდნენ, რომ მისი ტრავმა სერიოზული არ იყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მჭედლიძეს ტრავმა გაურთულდა და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ქართველი თავდამსხმელი მინდორზე.

სავარაუდოდ, მჭედლიძე 19 მარტს ნაპოლისთან მატჩში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ეს ასე არ მოხდეს.

წლევანდელ სეზონში ლევანმა თავისი გუნდის შემადგენლობაში 5 გოლის გატანა შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი, მხარზე გადასაკიდი ძველებური ნაქსოვი ჩანთა; 5. მხარე გერმანიაში; 10. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 15. კინოცენტრი ჩეხეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 20. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. პირი, რომელიც პირველი სინჯავდა მეფის საჭმელს უსაფრთხოებისათვის; 8. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. ინდური კანაფისაგან დამზადებული ნარკოტიკი; 13. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრუდენციაში სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. გერმანელი ფილოსოფოსი; 21. ღვინის სასმისი; 22. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა ევროპული სახელწოდება ძველად; 24. ეკოლოგთა და მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი